სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 5 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

წლის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 138 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 138

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა თიბათვის 27 წამა ანტონის მარტყოფელის მონასტერში ღვთით მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოზ პატრიარქი სრულიად საქართველოისა

**კ ი რ ი ო ნ II**

მისი უწმინდესობის ნეშთი დასვენებულია ანჩისხატის ტაძარში, რომლის კარი დღე და ღამ ღიაა. ყოველ დღე დილის 8 საათზე არქიელის წირვაა. პანაშვიდები აგრეთვე ყოველ დღე შუადღის 12 საათ. და საღ. 7 საათზე. დაკრძალვა კვირას 7 მკათათვეს სიონის ტაძარში.

საქართველოს დემ. რესპუბლიკის რკ. გზათა მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დუშეთის მაზრაში რევოლიუციონური მოვალეობის ასრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა კომიტეტის წევრი ამხანაგი

**ალექსანდრე რიკაძე**

მიცვალებულის ცხედარი განზრახულია გადმოასვენონ თფილისში, რაც თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (2—1)

თფილისის დეპოს მუშების ს. დ. მ. პ. წევრნი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს დაღუპვას მუშაკის

**ამხ. საშა რიკაძის**

ბრბოსაგან მხეცურად მოკვლას. (1—1)

**დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"**

პარასკევს 5 ივლისს საზ. სახლის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

**უდანაშაულოთ დასჯილნი**

კომედია 3 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. მაჭავარიანისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბარათაშვილი, ნინონი, მარგველაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა; ბ.ბ. გოცირიძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, სალაყაია, თავდგირიძე, ჭანკვეტაძე. რეჟისორი კ. შათირიშვილი, რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ. ბაღში დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი დირიჟორ გეჯაძის ხელმძღვანელობით. ამ დღეებში ბაღში გაიხსნება დიდი „კეკელბანი" და მოეწყობა ბავშვთა მოედანი. (1—1)

**საჯარო ვაჭრობა**

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ შაბათს 6 ივლის დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობის თანადასწრებით

**საჯარო ვაჭრობით**

იჯარით გაიცემა ქალაქის ყაფაზებიდან გადასახადის შემოსავალი. ყაფაზები იმყოფება: 1) მალაკნების მოედანზე, 2) სალდათთა ბაზარში—სომეხთა სემინარიის ეზოში, 3) კახეთის ქოლდანზე ნუნუფაროვის სახლის ეზოში.

პირობებისა და ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობის საიჯარო საადგილ-მამულო განყოფილების კანცელარიაში. (3—2)

**მოითხოვეთ სამკურნალო**

**ბორჯომის წყალი**

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით") მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი". (15—4)

1918 წლ. 1 ლ ივნისიდან ქ. თფილისში გაიხსნა კერძო

**რუსული საშუალო სკოლა**

**ი. ფ. პალმოვის ხელმძღვანელობით.**

სწავლება—რუსულ ენაზე. სკოლა შესდგება: ერთი საანბანო, ორი მოსამზადებელი და რვა ძირეული კლასისაგან,—მოწაფეებს ამზადებს რუსულ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებათ. მე-7 და მე-8 კლასს აქვს ორი განყოფილება: ჰუმანიტარული (რუსული სავაჟო გიმნაზიის კურსით) და რეალური (რეალურ სასწავლებლის კურსით).

საკლასო მეცადინეობა დილაობით, პრაქტიკული მუშაობა საღამოთი. მიიღებიან სამოსწავლო ჰასაკის პირები განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

**უეგზამენოთ მიიღებიან:** მე 5 კლასში—რომელთაც დაუსრულებიათ პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი და 1 ლ კლასში, რომელთაც დაუსრულებიათ დაბალი პირველ-დაწყებით სასწავლებელი. დანარჩენ კლასებში მიიღებიან **გამოცდით ან და შესაფერი მოწმობის წარდგენის შემდეგ.**

ეგზამენები დაიწყება 15 ივნისიდან.

თხოვნების მიღება (ყველა კლასებისათვის) და პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე (კვირა-უქმე დღეებშიაც) დილის 10—1 საათ. და საღ. 6—8 საათამდე. გოლოვინის ქ. № 8 (მეორე სართული). ტელეფონი 18—85 და 19—61.

**თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება**

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

**კ უ რ ს ე ბ ი**

მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდ. ნარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

## მიწის რეფორმის დასრულება.

ამიერ-კავკასიის სეიმმა, რომლის კანონმდებლობა დროებით საქართველოს რესპუბლიკამაც მიიღო სახელმძღვანელოთ, მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგა მიწის საკითხის გადასაჭრელათ. 7 მარტის კანონით მსხვილ მემამულეებს მიწები ერთმევათ განსაზღვრულ ნორმას ზევით და ამ გზით ჩამორთმეულ მიწებისაგან დგება ერთგვარი საადგილ-მამულო ფონდი.

ეს შესანიშნავი კანონი საბოლოოთ სპობს ბატონ-ყმობის ნაშთებს სოფლათ და ნიადაგს აცლის წოდებრივ ურთიერთობას. ამიერიდან კიდეც რომ არ არსებობდეს კომისარიატის დეკრეტი წოდებების გაუქმების შესახებ, თავადებს მაინც ესპობათ ძველებურათ პარპაშის უფლება და მხოლოდ ცარიელი „ბრწყინვალება" რჩებით ძველებურ ბატონობის მოსაგონებლათ.

მაგრამ მიწის საკითხის საქმე ამით საბოლოვოთ მაინც არ არის გათავებული. 7 მარტის კანონის და მიწათ-მოქმედების მინისტრის ინსტრუქციების მიხედვით ჩამორთმეული მიწები გადადის რესპუბლიკის განკარგულებაში, მარა ჯერ-ჯერობით, რჩება ისევ სოფლელების ხელში და ეს უკანასკნელნი ხელწერილს აძლევენ საადგილ-მამულო კომიტეტებს, რომ იჯარას გადაიხდიან. ასეთი დამოკიდებულება გრძელდება ერთის წლით.

ამ ნაირათ, მიწათ-მფლობელობის ფორმა, ესე იგი ის, თუ ვის და რა პირობებით უნდა გადაეცეს ჩამორთმეული მიწა, გადაუჭრელი რჩება.

მისი გადაჭრა კი აუცილებელია.

როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

ჩვენს, სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში მიღებულია ეგრეთ წოდებული მიწის მუნიციპალიზაცია: ყველა მიწები, გარდა ისეთისა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, გადადის ადგილობრივ თვითმართველობის ხელში. თვითმართველობა კი ამ მიწებს დაურიგებს მსურველთ დასამუშავებლათ განსაზღვრულ საიჯარო ფასში. ეს საიჯარო გადასახადი კი შედის თვითმართველობის სალაროში და მოხმარდება საერთო სასოფლო საქმეს.

მაგრამ ჩვენმა პარტიამ კარგათ იცოდა, როცა ის პროგრამას ადგენდა, რომ შესაძლოა მუნიციპალიზაციის განხორციელებას მრავალი გადაულახავი დაბრკოლება გადაეღობოს წინ. ამიტომ მან დაადგინა: უკეთუ მუნიციპალიზაციის განხორციელება მოუხერხებელი იქნება, მხარი დაუჭიროს მიწების საკუთრებათ გადაცემას.

ასეთია ჩვენი პარტიის დადგენილება.

და მიწის საკითხი სწორეთ ასე უნდა დაისვას გადასაჭრელათ: იჯარით გაცემა, თუ საკუთრებათ გადაცემა.

რაც შეეხება ფასს, გლეხობამ კარგათ იცის ჩვენი აზრი ამის შესახებ: ჩვენ დავადგინეთ, რომ მიწა უფასოთ ჩამოერთვას მებატონეს, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს, რომ ის უფასოთვე დაურიგდეს გლეხებს. არც შემთხვევა ყოფილა სადმე, რომ ამ მხრით უკმაყოფილება გამოეთქვას ვისმეს. გლეხობა თანახმაა საიჯარო გადასახადი იხადოს, რადგან იცის, რომ ეს გადასახადი ისევ მას მოხმარდება: მილიციის და სკოლების შესანახათ, გზების და სარწყავ არხების გასაყვანათ და სხვ.

მაშასადამე, ამ მხრით სადაო არაფერი გვაქვს. გადასაჭრელია მხოლოდ ის: რა სჯობია სოფლელისათვის—ყოველ წლიწადს იხადოს იჯარა, თუ ერთხელ და საბოლოვოთ საკუთრებათ შეიძინოს მიწა და მისი ბატონ-პატრონი გახდეს.

ამ საკითხის რიგიანათ გადაწყვეტაზე ჰკიდია ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი, რადგან ხალხის დიდი უმრავლესობა მიწის მუშაობით ირჩენს თავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობამ ჩქარა უნდა შეიმუშაოს სათანადო კანონპროექტი და ეროვნულ საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლათ, სოფლის ორგანიზაციებმა კი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მთავრობას საკითხის სამართლიანათ გადაწყვეტის საქმეში.

რედაქცია თავის მხრით ეცდება ცალკე წერილები უძღვნას ამ საკითხს და სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს საშუალება მისცეს თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრი.

## სოფლის ორგანიზაციების საყურადღებოთ.

დღევანდელ მეთაურ წერილში ერთი ფრიად საყურადღებო საკითხია წამოყენებული: მიწების საკუთრებათ გადაცემა გლეხებზე სოფლით. პრინციპიალურათ ეს კითხვა ადვილი გადასაჭრელია. სოც.-დემოკრატია ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ინტერესებით და ცდილობს აგრეთვე გლეხებს რაც შეიძლება მეტი საშვალება მიეცეს კულტურულ ცხოვრების.

მიწის საკუთრება—ეს არ არის ჩვენი სანუკვარი საგანი. მაგრამ რადგან ჩვენში გლეხკაცების მეურნეობა ისეთი ტიპისა და კულტურისაა, რომ იგი თხოულობს მიწის კერძო საკუთრებას, ამის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვექნება.

ამით, რასაკვირველია, არც ის გვინდა ვთქვათ, რომ თუ სადმე გლეხებმა მიწის საზოგადო საკუთრებათ დატოვება მოისურვეს, ჩვენ მათ ხელი შევუშალოთ, პირიქით ხელს შევუწყობთ კიდეც.

ასეთია მდგომარეობა. მარა ამ ჟამათ მე სხვა რამეზე მინდა მივაქციო ჩვენი სოფლის ყურადღება. სოფელს, სოფლის ხალხს თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია აქტიურათ გლეხთა საკითხის გადაჭრაში.

მართალია ამბოხებას თავადების წინააღმდეგ არა ერთგან ქონდა ადგილი, მარა ამ უკმაყოფილების აქტით თავდება გლეხების მთელი შემოქმედებაც.

რა უნდა გლეხკაცობას? როგორ სურს მას მიწის საკითხის გადაჭრა.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრგან გლეხები დღესაც პირდაპირ მემამულე თავადებისაგან ყიდულობენ მიწებს და შემდეგ კომიტეტებს უხდება სადავიდარაბოთ ეს უკანონო აქტი. რა არის ამის მიზეზი? შეიძლება, გლეხს მართლა ყიდვა ურჩევნია მიწის საკუთრებათ, ვინემ იჯარა აძლიოს თავის არჩეულ ერობას?

შემდეგ იბადება კითხვა: მიწის გაყიდვას რომ შეუდგეს მთავრობა, ამით მიწა მდიდრებს ჩაუვარდებათ ხომ ხელში? და არის თუ არა საშუალება ან გზა, რომ ეს მიწა მაინც ღარიბებს და უმიწაწყლოებს მივყიდოთ და არა სოფლის ჩარჩებს და მსხვილ შეძლების გლეხებს, რომელნიც დღესაც სულს უხუთავენ სოფლის ღარიბებს? აი ყველა ამ კითხვებზე საჭიროა არა მარტო პარტიულ ამხანაგების აზრი, არამედ სოფლის, თვით ხალხის, თვით გლეხობის. მათგან კი ჯერ ერთი დადგენილებაც არ გვინახავს თვალით, თითქოს მიწის საკითხი მას არც კი ეხებოდეს.

ასეთი მდგომარეობა არა-ნორმალურია და სოფელში მომუშავეებმა უნდა ამას ყურადღება მიაქციონ.

ამ ხანათ მაინც, როცა დგება საკითხი მიწის გადაცემისა გლეხებზე, ჩვენ ველით გლეხების აზრის გამოთქმას და მათი გულის ნადების მათივე სიტყვით გამომზეურებას.

ჩვენი გაზეთი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ყოველგვარ აზრს, მიუხედავათ იმისა, ეთანხმება იგი ჩვენს შეხედულებას თუ არა.

## პ რ ე ს ა

ჩვენში გაძლიერებულ ანარქიასთან ბრძოლას ეხება ქუთათური ესერების „რევოლიუციონური ნობათი" და შემდეგს სწერს:

„მთელი ჩვენი რესპუბლიკა ანარქიის ალში გახვეულა. ყოველ მხრიდან თავს ესხმიან ჩვენს თავისუფლებას, აჯანყება აჯანყებას მისდევს. ჩვენი საზოგადოების ყველა შავი ძალები შეერთდენ. სხვადასხვა მისწრაფებათა და სოციალური ბუნების ჯგუფები შეაერთა საერთო მიზანმა. ეს არის საქართველოს სუვერენობის გაქარწყლება, ჩვენი თავისუფლების დასამარება. რესპუბლიკისა და თავისუფლების მტერნი მტკიცედ და მეთოდიურათ მიისწრაფვიან თავიანთი მიზნისაკენ. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი მაზრა, სადაც დღეს არ თარეშობდენ ბანდები, არ აწყობდენ აჯანყებას. აღსანიშნავია, რომ სრულიად „ბანდების" თარეში გახშირდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ ოსმალეთთან ზავი შეკრა. დუშეთის ამბები, ლეჩხუმში ოსმალეთის დესანტი და სხვა, რამდენიმედ ფარდას ხდიან ჩვენებური ანარქიის სარჩულისა და ინტიმურ მხარეს. ცხადი ხდება, რომ ოსმალეთი მეტად დაინტერესებულია ამ ანარქიით. ირკვევა, რომ ოსმალეთის აგენტები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ იმ აჯანყებაში. ჩვენი თავისუფლების შინაური და გარეშე მტრები ძმურ ხელს უწვდიან ერთი მეორეს და ერთი-მეორეს დახმარებით, მოქმედებათა სრული კოორდინაციით სურთ ბოლო მოუღონ ჩვენს თავისუფლებას, რესპუბლიკის არსებობას.

უნდა ითქვას, რომ უკმაყოფილებას ხალხში, ხშირად მასიური ხასიათი აქვს. უნდა იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები, რათა მოვსპოთ ან მინიმუმამდი დავიყვანოთ უკმაყოფილების მთავარი მიზეზები. მთავრობა ვალდებულია მეტად ფრთხილად მოეპყრას მასსიურ ხალხურ უკმაყოფილებას და მთელი თავისი ძალღონით შეეცადოს, რომ მან არ მიიღოს მწვავე ხასიათი, მაგრამ იქ, სადაც მიუხედავათ ყოველგვარი რაც ონლური რევოლიუციონური ზომებისა ცალკე ჯგუფები და „ბანდები" იარაღით ხელში გამოდიან, იქ მთავრობა უნდა იყოს ულმობელი! ხალხის სამართლიანი და რევოლიუციონური მოთხოვნილებათა აუცილებელი დაკმაყოფილება, მიუდგომლობა და უაღრესი სამართლიანობა, აი რა უნდა დაედვას საფუძვლად მთავრობის პოლიტიკას ადგილობრივ და თუ ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ ვინმე იარაღით ხელში გამოვა იგი იქნება თავისუფლებისა და ერის აშკარა მოღალატე და როგორც ასეთი სასტიკად დასჯილ უნდა იქნეს! სხვა გზა არ არის, ვინაიდან დღევანდელ პირობებში აჯანყებებს და „ბანდების" თარეშს მოყვება მხოლოდ გარეშე იმპერიალისტების გამარჯვება და ჩვენი რესპუბლიკის და მის თავისუფლების დასამარება".

ანარქიის მეტად გაძლიერებას თუ სხვა მიზეზებს ჰკუა უსწავლნბია ქუთათურ ესერებისათვის. ეს ხალხი მუდამ გვებრძოდა ჩვენ როცა დროზე საჭირო ზომების მიღებას ვქადაგებდით თუ ნაბიჯსა ვსდგამდით. ასევე მოუვიდათ ესერებს ომის, მობილიზაციის საკითხში. გვიან შეიგნეს მათ თავდაცვის საჭიროება, მაგრამ „უმჯობესია გვიან, ვიდრე არას დროს."

## პროვოკაციის კვალი

ქალაქ ცარიცინში.

ახლა თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმ ზომამდე კაცთ მოძულეობა სხვა ერებისადმი რუსის ხალხში ძველი რეჟიმის დროსაც არ დაუთესიათ, რამდენიც სხვათა შორის ახლა დასთესა რუსეთში ეგრედ წოდებულ მუშათა და გლეხთა მთავრობამ.

ძველ დროში მთავრობის გაზეთებში იშვიათედ შეხვდებოდით ისეთ აღვირწახსნილობას, რასაც ამ ჟამად აქვს ადგილი სახალხო კომისართა ოფიციალურ გაზეთში.

მაშინ მხოლოდ „ნოვოე ვრემია" და მენშიკოვი იყო ამ მხრით „სახელ განთქმულნი".

ახლა როგორც სატახტო ქალაქებში, ისე პროვინციებში მრავლათ მოიპოვებიან როგორც ახალდროის მენშიკოვები ისე შესაფერი გაზეთებიც.

წინეთ შავრაზმული გაზეთები ასე სწერდენ: რუსის ხალხს სულის მოთქმის ნებას არ აძლევენ „ინოროდცებიო".

ახლა „წითელ" გაზეთებში სწერენ: რუსეთში უკვე სოციალიზმი დამყარდა, რუსის ხალხი გაბედნიერდა, მხოლოდ განაპირა ადგილები ებრძვიან რუსეთს და ღუპავენ რუსის ხალხის მიერ მოპოვებულ ბედნიერებასო.

განაპირა ქვეყნებში რომ არ სცნობენ ბოლშევიკების მიერ შეხიზნულ მთავრობას, ამას ბოლშევიკებმა დაარქვეს კონტრ-რევოლიუცია.

ვინ გინდა, რომ ახლა რუსეთში კონტრ-რევოლიუციაზე არ ლაპარაკობდეს და არ სწერდეს!

გუშინდელი პოლიციელი, ჯაშუში, ჟანდარმი დღეს რუსეთში რევოლიუციონერია, რევოლიუციონერი, სოციალისტი კი—კონტრ-რევოლიუციონერი.

ცარიცინში გამოდის გაზეთი „ბორბა". ეს გაზეთი არის ორგანო მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და ყაზახთა საბჭოებისა. 16 ივნისის ნომერში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით: კონტრ-რევოლიუცია ამიერ-კავკასიაში".

მოთხრობილია ყველაფერი ამ წერილში ბოლშევიკურათ ალექსანდრეს ბაღში მომხდარ ამბებიდან. ნათქვამია, რომ ამ ამბების შემდეგ ქალაქიდან კონტრ-რევოლიუცია მოედო სოფლებს. „პირველი დამსჯელი რაზმი გაგზავნილ იქნა თელავში მეამბოხეთა დასამშვიდებლათ, სადაც გაბედეს ძველი კომისრების გადაყენება და, მათ ადგილზე ახლების დაყენება, რომლებიც შეუდგენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული საადგილ-მამულო დეკრეტების განხორციელებას.

ჩააქრეს რა იქ მოძრაობა, გაიგზავნა ჯარი ლეჩხუმში, იქიდან ცხინვალში, სადაც უმთავრესათ ოსები ცხოვრობენ. ცხინვალში გაიგზავნა წითელი გვარდია, რომელსაც გლეხები უწოდებენ თავადაზნაურთა გვარდიას. შემდეგ მოხსენებულია წერილში სამეგრელოში და სხვა ადგილებში მომხდარი გამოსვლები ისეთი თანდათანობით, როგორც მათ აწყობდენ ჩვენებური ბოლშევიკები. წერილში ნათქვამია აგრეთვე, რომ გურიის არ აძლევდენ იარაღს მენშევიკები, რომ თავი დაეცვათ გურულებს ოსმალებისაგან, და ამავე დროს სამეგრელოს გლეხებს ელეტდენო. აღსანიშნავია აგრეთვე ის მოვლენაო, სწერს გაზეთი,— რომ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ „ბანდებს" ბლომათ აძლევენ იარაღს ბაქოს რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელიც თავგამოდებით იცავს რევოლიუციას კონტრ-რევოლიუციონერებისგანო.

წერილი ასე თავდება. ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ყურადღება მიპყრობილია რუსეთისა და ბაქოს პროლეტარიატისაკენ, რომელიც ასეთი სიბნელით, საკუთარი სისხლით ანთავისუფლებს პოლიტიკურ გზას რუსეთსა და კავკასიას შორის კონტრ-რევოლიუციონურ „ბანდებისაგან", რომელი გზის დახშობას ხალხის დაუკითხავად აგრე ცდილობს ამიერ-კავკასია. ამიერ-კავკასიის მთავრობას სურს შექმნას მეორე უკრაინა. როგორც მიუახლოვდება საბჭოთა ჯარები ბაქოდან, ეს მთავრობა იმ წამსვე გახსნის ოსმალეთის ფრონტს და სხ.

საუკეთესო იქნება, თუ სეიმი თითონ გაიუქმებს თავსო, დასძენს ავტორი.

საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გაზეთში არაფერი არ არის ნათქვამი. გაზეთი ებრძვის მხოლოდ ამიერ-კავკასიას. ცხადია, თუ როგორ გუნებაზე დადგებიან იქაური ბოლშევიკები, როცა საქართველოს რესპუბლიკის არსებობაზე გაიგებენ.

ამის შესახებ ზოგიერთი ცნობები ცარიციდან ჩამოსულმა ამხანაგმა გადმოგვცა. როცა იქ გაიგეს იურმე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, დაიპირეს რეპრესიებისათვის მიემართათ ქართველების, როგორც კონტრ-რევოლიუციონერების, წინააღმდეგ ბოლშევიკებმა და ადგილობრივმა სომხებმა, რომელთაც ცარიცინში დაარსებული ჰქონიათ „სომხეთის დამცველი შტაბი თუ კომიტეტი".

ქართველებს ასეთი პასუხი გაუციათ: უკეთუ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე რეპრესიებს მიმართავთ, ამას ჩვენ ვაცნობებთ საქართველოს მთავრობას და იქ ასევე მოქცევიან რუსებს და სომხებსო. ამასთანავე საქმის ვითარება ცარიცინის ქართველთა ეროვნულ საბჭოს უცნობებია მოსკოვში გერმანიის ელჩის გრაფ მირბახისთვის.

ამის შემდეგ ცოტათი მინელებულა ქართველების წინააღმდეგ აგიტაცია, მაგრამ არა გვგონია დიდის ხნით—დაუმატა ამხანაგმა.

# გიორგი ვალ. პლეხანოვი

## გ. ვ. პლეხანოვი—თეორეტიკოსი

(კ. ჩხეიძის მოხსენება)

ბევრი დამარცხება განიცადა პროლეტარიატმა, მაგრამ სხვა განსაცდელთა შორის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გ. ვ. პლეხანოვის დაკარგვა. მუშათა კლასის დამარცხებას, დღეს შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, აქვს ბევრი მიზეზი. ერთი ადამიანის სიკვდილი არ შეიძლება ამის მიზეზათ ჩავთვალოთ. მაგრამ გ. პლეხანოვის სიკვდილი სიმბოლიურია.

არ შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუცია საბოლოოთ დამარცხდა, როგორც შეუძლებელია პროლეტარიატის საბოლოო დამარცხება. სხვა კლასები შეიძლება რომ დამარცხდნენ, მაგრამ პროლეტარიატი არა. მიუხედავათ ამისა, მაინც მძიმე დამარცხება განიცადა პროლეტარიატმა. ამის ერთი მიზეზთაგანი არის ის, რომ პლეხანოვისა და მისი სკოლის მოძღვრება საკმაოთ არ იყო გავრცელებული მუშათა შორის.

მე დავალებული მაქვს გაგაცნოთ თქვენ გ. პლეხანოვი, როგორც თეორეტიკოსი, მაგრამ საჭიროა თვით პლეხანოვი იყვე, რომ ეს შესძლო ადამიანმა. მე ამის პრეტენზიები არ მაქვს და არც შეიძლება ვისმეს ჰქონდეს. მე გადმოგცემთ თქვენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ჩემზე მოახდინა გ. პლეხანოვმა, როგორც თეორეტიკოსმა.

ამხ. ნოე ჟორდანიამ გიამბოთ თქვენ, თუ როგორ უგზავნიდით ჩვენ მარქსისტებს ევროპასა და რუსეთს. მარქსის სახელი მე პირველათ გავიგონე ხარკოვში 1889 წ. მაშინ გაბატონებული იყო მიხაილოვსკისა და ლავროვის მოძღვრება. არ ვიცი რატომ და მე მეგონა, რომ სიმართლეს მხოლოდ მარქსი იტყოდა. ხარკოვში მე მხოლოდ ერთხელ ვნახე „კაპიტალი". გადავშალე, მაგრამ ისევ დავხურე, ვინაიდან ვერაფერი ვერ გავიგე. 1891 წ. მე პეტროგრადიდან მივიღე „კაპიტალი" სოფელში. ვკითხულობდი ხშირათ, ხმა მაღლა. ვიძახოდი: „საქონელი", „ფული", „საქონელი", „ფული". ერთხელ ყური მოვკარი მშობლების ლაპარაკს. მამაჩემი ეუბნებოდა დედაჩემს, ჩვენი შვილი წვრილ ვაჭრათ ხომ არ ემზადება, სულ რომ „საქონელს" და „ფულს" გაიძახისო. „კაპიტალის" პირველი თავი სულ ცოტა ორი ათასჯერ გადავიკითხე. ვერ ჩავსწვდი შინაარს სავსებით, მაგრამ ეს კი ვიცოდი, რომ რაღაც საინტერესო უნდა ყოფილიყო. სხვა წიგნები არ იყო. 1890 წ. გამოვიდა გ. პლეხანოვის წერილები ჩერნიშევსკის შესახებ. ეს წერილები ჩვენ მივიღეთ 1892 წ. ჩემს წინ სულ ახალი ქვეყანა გადაიშალა. მე შესწავლილი მქონდა ბუნების მეტყველება და ვიცოდი, თუ რა კანონები ამოძრავებდა მცენარეულობის ცხოვრებას, მაგრამ ვერ შევძელი გამეგო, თუ რა კანონები განსაზღვრავდა კაცობრიობის ცხოვრებას. ისტორია ჩემთვის ბურუსით მოცული საიდუმლოება იყო. სად იყო სოციალურ ცხოვრების ცენტრი? თუ ყველა ამ კითხვების პასუხი „კაპიტალში", იყო, მაგრამ მე ვერ შევძელი მისი გაგება.

გ. პლეხანოვი ავითარებდა მარქსისა და ენგელსის დებულებებს. მან გაფართოვა ისტორიაზე მონისტური შეხედულება და გამოიყენა იგი უფრო მეტ დარგებში საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ვინემ მარქსმა და ენგელსმა. როგორც თეორეტიკოსი, პლეხანოვი გვასწავლიდა, რომ არავითარ საზოგადოებას არ შეუძლია ნახტომი გააკეთოს. მისი ღვაწლი რუსეთის წინაშე დიდია და არასოდეს ისე აშკარათ დასანახი არ ყოფილა ეს ღვაწლი, როგორც დღეს. ძველი იდეა, რომ რუსეთი განაახლებს კაცობრიობას, დღეს კვლავ გავრცელდა, დარწმუნებული არიან, რომ რუსეთი გააკეთებს ნახტომს, მაგრამ გ. პლეხანოვს შეეძლო ეთქვა, თქვენ დაისაჯეთ იმიტომ, რომ ვერ გაიგეთ ჩემი მოძღვრებაო. პლეხანოვმა დამტკიცა, რომ ვერც ერთი საზოგადოებრივ ცხოვრების ფორმა ვერ შეიცვლება ახალი ფორმით, თუ არ არსებობს ამისთვის საჭირო პირობები. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია შევამსუბუქოთ ბებია ქალის როლი. მაგრამ დღეს ჩვენს თვალწინ შეგენ დოსტაქარის როლის შესრულებს და ხალხზე ახდენენ ისეთ შეუბრალებელ ცდას, რომელსაც არც ერთი დოსტაქარი არ მოახდენდა [illegible].

ჩვენ, კავკასიელებმა, განსაკუთრებით უნდა მივუძღვნათ მადლობა პლეხანოვს. ტყუილა კი არ უყვარდა მას ქართველები, ყველაზე უფრო ახლოს იგი ჩვენ თან იდგა. ჩვენ, როგორც მოწაფეებმა, შევძლებისდაგვარათ გავამართლეთ მისი იმედები. და თუ დღეს ჩვენ აქ არ ვართ [illegible], მივიღოთ თუ არა მონაწილეობა პლეხანოვის დაკრძალვაში, თუ რევოლიუცია მოგვიყვანდა [illegible] მდგომარეობამდე — ეს მანკენებელია იმის, რომ ჩვენ პირველ ადგილზე ვაყენებდით პლეხანოვს და ვასრულებდით მის სიტყვებს.

დეე, საუკუნო იყოს მისი ხსოვნა ჩვენს და საერთაშორისო პროლეტარიატს შორის.

—

**ქ. სამტრედია.** სამტრედიის რაიონის სოც.-დემოკრატიული კომიტეტი და ქალაქის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის დამაარსებლის, მუშათა კლასის სიამაყეს, სოციალიზმის ფხიზელი დარაჯის, ძვირფასი მასწავლებლის გიორგი ვალ. პლეხანოვის დაკარგვის გამო. დეე მოწამებრივი ტანჯვა ძვირფასი მასწავლებლისა ყოფილიყოს მიზეზი მუშათა კლასის გამოფხიზლებისა, რომელიც რევოლიუციონურ დროშით ხელში კვლავ გაჰყვება დიდებული მეცნიერის და საუკეთესო მებრძოლის მიერ ნაჩვენებ გზას, რომელიც უქადის კაცობრიობას სრულ ბედნიერებას.

**სამტრედიის რაინ ს.-დ. კომიტეტი**

—

**ზუგდიდის** სოციალ-დემოკრატიული სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბუმბერაზ ადამიანის გიორგი პლეხანოვის გარდაცვალების გამო. პლეხანოვის სახით მუშათა კლასმა დაჰკარგა თვისი მშვენება—მასწავლებელი.

თავმჯდომარე მუჯირი.

—

**დიდი მასწავლებლის ხსოვნას.**

ჯანყითა და ბურუსით მოცულ რუსეთის პროლეტარიატის ცის ტატნობზე ჩაქრა ულამაზესი სიცოცხლე, ულამაზესი ადამიანის გიორგი ვალენტინისძე პლეხანოვის.

თვალ უწვდენელ რუსეთის ტიალ მინდვრებში ამოცვენდა მისი ამაყი და დიდი სული, იქ თვალ უწვდენელ მინდვრებში გაიფურჩქნა მისი აზრი უდიდესი აზრი და მოედვა ამ თვალ უწვდენელ მინდორ ველთ.

ამაყი და დიადი სული, რომელიც ბრწყინვალე შარავანდედით ევლინებოდა დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასს, აი ეს სული ჩაჰქრა!

ჩაჰქრა სწორედ მაშინ, როდესაც წელში გატეხილი რუსეთის პროლეტარიატი ეძებს დღეს ყავარჯენს, რათა ისევ აღსდგეს და განაგრძოს ძველი ნაცადი გზით სიარული და ისევ დაუახლოვდეს თავის მოძღვრებას, და ერთგულ ხელმძღვანელებს აი ასეთ დროს ჩაჰქრა მშვენიერი, აზრიანი სიცოცხლე, დიდი სიცოცხლე.

მწარე დაცინვა!

დაცინვა ბედისგან!

ფიქრობ და გონება გერევა, რათ მოხდა იგრე?

ძველს მასწავლებელს, ერთგულს, შეუდრეკელ დარაჯს რუსეთის მშრომელ კლასისას რომელსაც ყურს უგდებდა რუსეთის მშრომელი მასა, რომლის მეცნიერულ აზროვნებაზე აღიზარდა ახალგაზრდა რუსეთი, დღევანდელმა საშინელმა „თანამედროვეობამ", ასეთ ლამპარს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ოჯახის მამას, ზურგი შეაქცია განმარტოებულად დასტოვა და ავადმყოფს ტყვიებით გამასპინძლება მოუნდომა. გონება აღარ გემორჩილება, სისხლი გეყინება, მწარეა ამაზე ფიქრი.

ვინ დაიპატრონა ბრწყინვალე თავ განწირულ ნაშრომი? მას ხელი მაგრად ჩასჭიდა უგნურთა გროვამ და გააბა ჯოჯოხეთური ცეკვა მთელ რუსეთის იმპერიაზე!

განა შეძლებდა აეტანა დღევანდელი უგნურება მოხუცის ამაყ მებრძოლ შეურყეველ სულს? და იგი დაეცა. მისი დაცემა ვიგრძენით მთელი ჩვენი არსებით, ჩვენი სული თრთის და კანკალებს საშინელი დანაშაულის წინაშე! ვისი გულის ძგერაც შეკავშირებული იყო მუშათა მასის გულის ძგერასთან, ამ მასამ ის ვერ დაიხსნა და ვერ ჩაიკრა თავის გმირულ გულში.

ვინ არის დამნაშავე? შეგნებული, გათვითცნობიერებული ქართველი მუშათა კლასი მუდამ თავის გულში ატარებს დიდი მასწავლებლის ძვირფას ხსოვნას.

ოლიმპიადა ბაქრაძე.

**სამგლოვიარო წერილი.**

გიორგი პლეხანოვი გარდაიცვალა: ეს დიდი დანაკლისია ყველა შეგნებულ დემოკრატიისათვის. ყველა სცნობს მის დაკარგვის სიდიადეს. ყველა ის პირები, რომლებიც პირადათ თუ ისე იცნობდენ მას, ყველა აცრემლებულია, ყველა [illegible] და ყველა გლოვობს ძვირფას ადამიანის, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მამის დაკარგვას. მასში დემოკრატიამ დაჰკარგა ძვირფასი მებრძოლი, გამოცდილი და განცდილი პიროვნება. მან ვერ გაუძლო მსოფლიო ომს, ვერ გაუძლო ანარქიის ცეცხლს და თავი შეაფარა უცხო [illegible], სამწუხაროა მისი [illegible] მეს. ვერ მიდიან მის საფლავთან დემოკრატიის ერთგული შვილები და ვერ ჩასძახიან დემოკრატიის მწუხარებას. ჩვენც, ქართველები, სადაც უფრო მეტი თანამგრძნობი ჰყავდა მას, ვერ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, ვერ ვუგზავნით მოხუც მამის ცხედარს უკანასკნელათ მშვიდობით სათქმელათ ჩვენს უფროს ძმებს და მით ვერ ვიკლებთ ჩვენი გულის მწუხარებას. ამიტომ ყველაზე უფრო სამწუხაროა ეს დღეს. აბა, მე, უბრალო ჯარისკაცს, როგორ შემიძლია ავწერო და დავაფასო ის; მაგრამ რამდენათაც ვიცნობდი მე მას, იმდენათ დიდ დანაკლ სად მიმაჩნია მე მისი დაკარგვა. ცრემლები მომადგება თვალებზედ, როდესაც მომაგონდება პირველი დღე პლეხანოვის მოსვლისა საზღვარ გარეთიდან, მაგონდება მაშინდელი მისი სიტყვები და დიდ მწუხარებას ვგრძნობ. რას ვხედავთ ამ ერთი წლის განმავლობაში? ყველაფერი გამოიცვალა, დაიშალა დიდი ოჯახი რუსეთისა, გასტყდა და ერთი მეორეს გადაეკიდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მოიცვა ანარქიამ ყველაფერი და რევოლიუცია დღუპვის გზას დაადგა.

აი რავდენ ცვლილებას ვხედავთ შარშანს აქეთ. რავდენი სისხლი დაიღვარა მას მერე ძმებს შორის. თუ შარშან წითელი დროშა ფრიალებდა, დღეს კი, სულ სხვას ვხედავთ მის ნაცვლად. აი ასეთ დროს მოგვცილდა ძვირფასი მებრძოლი და გამოცდილი პიროვნება გიორგი პლეხანოვი.

მოკვდა, მოგვცილდა, მაგრამ არ მომკვდარა მისი რწმენა, მისი იდეია და აზრები. ვიმედოვნებთ, რომ მისი მოწაფეები ივლიან მის მიერ გათელილ გზაზე და მიაღწევს მუშათა კლასი საბოლოოთ დიად მიზანს.

მშვიდობით საყვარელო მამავ... მუხლს ვიდრეკთ შენი ცივი საფლავის წინაშე და გეუბნებით: აწ ჩვენ ობლები არა ვართ!

ჩვენ, მეშვიდე როტის მეშვიდე ქართული პოლკის ჯარისკაცები დიდ მწუხარებას გამოვსთქვამთ და ჩვენს გლოვას ვუერთებთ რუსეთის და საქართველოს დემოკრატიის გლოვას. დაე ბრალი მათ, ვინც ხელი შეგვიშალა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად გვეტარებია წითელი ინტერნაციონალური დროშა...

მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კვლავ აღსდგება დაცემული დემოკრატია და კვლავ ერთად დასძახებს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით".

მეშვიდე ქართულ პოლკის მეშვიდე როტის ჯარისკაცების მინდობილობით

**საწყალი მუშა.**

—

**ხიდისთავის** რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ღრმათ დამწუხრებულია მუშათა მოძრაობის ბელადის და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელის პლეხანოვის გარდაცვალების გამო.

—

**გიორგი პლეხანოვი.** მარქსის მიმდევრებს გლოვის ზარმა დაჰკრა; ულმობელმა სიკვდილმა მშრომელ კლასს მოსტაცა ჰალარა პლეხანოვი, რომელიც სიჭაბუკეში დაუღალავათ მშრომელ კლასს გზას უკაფავდა, და გაფურჩქნილ თაიგულივით თავისუფლების დროშის ქვეშ აერთებდა. ძველი რეჟიმის რკინის კანონებში მებრძოლმა მოხუცების დროს იგემა რევოლიუციის ტკბილი დღეები, —სტკბებოდა თავისუფალი რევოლიუციონური სიმღერებით, აღტაცებაში მოდიოდა მისი მოწაფეების ბედნიერებით,—მაგრამ დროთა მსვლელობამ შესცვალა, შეარყია რევოლიუციის ტკბილი დღეები, და წმინდა იდეები ძმათა სისხლში შეცურდა. იმ დროს გაბოროტებული ხელი მოხუც მებრძოლსაც სწვდა, შეურაცჰყო და მწარე წუთები არგუნა, მაგრამ მებრძოლს ბრძოლა ცივ სამარემდე აცილებს და უკვდავი სახელი მისი მიმდევრებში რჩება. შენი ცხედრის წინაშე მუხლს ვიდრეკთ და მწარე ფიქრებით გიგონებთ დაუვიწყარო მასწავლებელო!

ივაკი გიორგაძე.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

4 ივლისი.

**ბერლინი.** 3 ივლისი. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ჯარი. მერრისა და გუაიენნეილის ახლოს არრასას სამხრეთით ინგლისელების ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ალბერის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ წამოვიყვანე ტყვეები.

გერმანიის კრონ პრინცის ჯარი. მდ. ენის ჩრდილოეთით დილით დაიწყო ბრძოლა. ენსა და მარნას შუა მტერი განაგრძობდა გაცხოველებულ მოქმედებას. ს.-პიერ-ეგლისთან და შატო-ტიერის დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ძირს ჩამოვაგდეთ ამერიკელების 4 აეროპლანი.

**სტამბოლი.** 3 ივლისი. პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირიდან იერუსალიმ-ნაბულუსის გზატკეცილამდე სამხარო მოქმედება აქ იყო გამოცხადებული. ამ გზატკეცილი და მდ. იორდანეს შუა გაცხოველებული საარტილერიო სროლაა. ჩვენ ვაიძულეთ მტერი ზოგიერთი ბანაკი სხვა ადგილას გადაეტანა მდ. იორდანის აღმოსავლეთით სუსტი საარტილერიო სროლაა. მეამბოხეებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს გეუდრასი. რკინის გზაზე, მაგრამ ეს იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე არაფერი საყურადღებო არ მომხდარა.

**ვენა.** 3 ივლისი. 2 ივლისს, დილით, ნორდებრიას რაიონში ჩვენი გემები გაემართნენ მტრის საომარ გემების წინამდღდეგ გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ჩვენმა რაზმმა ცეცხლი გაუჩინა მტრის ერთ გემს და დააზიანა მეორე. მტერი გაექცა ბრძოლას და დაიხია თავის სადგომისაკენ. ჩვენს საომარ გემებს უმნიშვნელო ზიანი მიაყენეს.

**ლონდონი.** 1 ივლისი. ლორდთა პალატაში წამოყენებულ შეკითხვაზე იმის შესახებ, რომ რუსებმა შავ ზღვაში დალუპეს საომარი გემები, რომ ისინი არ ჩავარდნოდა გერმანელებს ხელშიო, ბონარ-ლოუმ უპასუხა: „ჩვენ გვაქვს საბუთი ვსთქვათ, რომ მართლაც შავი ზღვის ფლოტის ზოგიერთი გემები ამნაირათ დაიღუპა, მაგრამ გაცილებით მეტი ნაწილი რუსეთის შავი ზღვის ფლოტისა უვნებლათ ჩაუვარდა გერმანელებს ხელში.

# უკანასკნელი ცნობები

ოზურგეთი.

ამას წინად სოფ. აჭთან გადმოლახული ოსმალთა ჯარმა დასტოვა და უკან დაიხია.

ფოთი (დეპეშა).

გაზეთებში მოთავსებული ცნობა, თითქოს ფოთში 450 ათასი ფუთი პურის ფქვილი მოიტანოს გერმანიის საელჩოდან მიღებულ ცნობის თანახმად სინამდვილეს არ შეესაბამება. სასურსათო სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულობის თანახმად გერმანელები მოელიან 10—12 დღის შემდეგ დიდი პარტია პურის ფქვილის მიღებას.

სასურსათო მინისტრის ამხანაგი

**საბაშვილი.**

ქუთაისი.

28 ივნისს ციხეში ტუსაღებმა პური დაიწუნეს. მოითხოვეს თეთრი პური. ადმინისტრაციის განცხადებამ, რომ თეთრი პური არ არისო, ტუსაღები არ დააკმაყოფილა. მათ კარებს დაუწყეს მტვრევა. მცველების მიერ ატეხილმა სროლამ დააწყნარა ტუსაღები. სროლას მსხვერპლი არ მოყოლია. ამ ჟამად ციხეში 400 ტუსაღია. თითო ტუსაღის შენახვა დღეში ჯდება 6 მანეთი.

ადლერი (დეპეშა)

„მიუხედავათ მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩვენი ბათალიონი 29 ივნისს გავიდა მდ. მაგიმკში და დაიკავა ქ. ადლერი. ჩვენი ჯარისკაცების და აფიცრების მამაცობა გამბედაობას საზღვარი არ აქვს. მოწინააღმდეგის მხრით მოკლულია 200, ტყვეთ წამოყვანილი 100, დიდძალი თოფები და ტყვიები. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ჯარისკაცებს ციება გამოაჩნდა აქ, რაზმს მაინც არ სტოვებენ, უარს ამბობენ საექიმოთ წამოსვლაზე ზურგში".

ეს დეპეშა ქართული ბათალიონის უფროს მოუვიდა თფილისში ადლერიდან პორუჩიკ ფირცხალაიასაგან.

სამჩხერი.

საჩხერიდან ჩამოსული ამხანაგის გადმოცემით, ბრბოს ხელმძღვანელობდა, სხვათა შორის, ერთი ოსი. ის უხსნიდა ხალხს, რომ მოდის მდიდრების ჯარი და სურს იარაღი აყარონ ხალხსო. გამოდით და დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, წერეთლების რაზმს ნუ მისცემთ ნებას, რომ გაგვანადგურონო. ხალხი აყვა ამ პროვოკატორის სიტყვას და ყველა გამოვიდა იარაღით ხელში. ჩვენს ჯარსა და ბრბოს შორის მკაცრი შეტაკება მოხდა. ბრბო დამარცხდა. მოწინააღმდეგეთა შორის ბევრია დახოცილი და ტყვეთ ჩავარდნილი. სხვათა შორის დატუსაღებულია მეთაური ოსიც. ხალხზე ძლიერ იმოქმედა დუშეთში მომხდარ ამბებმა. მოითხოვენ გაგზავნილ იქნას დელეგაცია მთავრობასთან. იარაღი თითონ მოაქვთ—მეზობლები ნებას არ აძლევენ ერთმანეთს იარაღი დამალონ.

დუშეთი

ვალ. ჯუღელის რაზმმა 3 ივლისს დილით დუშეთი აიღო. მას შეუერთდა პოლ. [illegible] რაზმიც. ჩვენის მხრით სულ დაჭრილია 9 კაცი. გუშინ გაიგზავნა დუშეთში ახალი ჯარი.

# გრაფ შულენბურგის განცხადება

გერმანელების დამარცხების შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობის გამო გრაფ შულენბურგმა შემდეგი განაცხადა: „ზოგიერთი გაზეთების ცნობა ჩვენი ჯარის დამარცხების შესახებ მტკნარი სიცრუეა. 21 მარტიდან დავიწყეთ საფრანგეთში დიდი იერიშები და დიდი გამარჯვებაც ვნახეთ. ეს იერიშები ძლიერ ბრძოლის მოწყობილებას. ჩვენი ჯარი იერიშს მიიტანს ერთ ადგილზე, რომელიც მტრისთვის სრულიად უცნობია და წინასწარ მიზნის მიღწევის შემდეგ შეჩერდება და შემდეგ მეორე ადგილას მიიტანს იერიშს. ამგვარად დღემდე ჩვენ მოვახერხეთ 4 იერიში და ამ იერიშებს შორის ყოველთვის რჩებოდა დრო, რომელიც საჭირო იყო მეორე იერიშის მოსაწყობად.

პირველმა იერიშმა მიგვიყვანა ქალაქ სენკაინიდან ქ. ამიენის კარებამდე. ამ იერიშის დროს ავიღეთ დიდი ქალაქები ალბერი, ჰერონი, შონი, ნუაიონი, ნელი, რუა და მონ-დიდუ. მეორე იერიშმა მიგვიყვანა ქ. ლილიდან ქ. ჰასბრუკის კარებამდე, ამ იერიშის დროს ხელთ ვიგდეთ ქემელის მაღლობები, რომელიც ბატონობს ფლანდრიის მინდვრებს და იპრის არე-მარეს. მესამე იერიში დაიწყო ქ. ლაონიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამ იერიშმა მოგვცა სახელგანთქმული ქალაქი სუასონი, რომელიც მდებარეობს 60 კილომეტრის მოშორებით პარიზიდან და ქალაქი შატო-ტიერი, მდებარე 50 კილომეტრით პარიზიდან აგრეთვე ძლიერი ფორტი ჩრდილო დასავლეთით ქალ. რეინსიდან. მეოთხე იერიშის მიზანი იყო შეგვისწორებია წინანდელი იერიშების მიერ წინწაწევის ხაზები. ამ იერიშებმაც მოგვცა მეტად დიდ მნიშვნელოვანი მაღლობები და მიგვიყვანა ქალაქ კამპიენის კარებამდე, რომელიც პარიზიდან არის დაახლოვებით 50 კილომეტრზე. დღიდან ჩვენი იერიშების დაწყებისა არც ერთ ფრანგთა და ინგლისელთა კონტრ-იერიშს რაიმე ნაყოფი არ ჰქონია, მიუხედავათ იმისა, რომ მათ აფარებული ჯარი დააგროვეს წინააღმდეგ. გერმანელების მიერ სამი თვის განმავლობაში იერიშებმა ჩვენ მოგვცა აუარებელი სამხედრო მასალა. გარდა ამისა, 94,939 დაჭრილი ინგლისელი ჯარისკაცი და 3 ათასი აფიცერი. 2,476 ზარბაზანი, 15,024 ტყვიისმფრქვეველი. ასეთ მდგომარეობაში ასეთი ხმების გავრცელება სასაცილოა. თუ მართლა გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის" 30 მაისის ნომერში იყო ასეთი ცნობა, თქმა არ უნდა, ის ნომერი ჩვენი მტრების მიერ საგანგებოთ დაბეჭდილია. სწორეთ 30 მაისს ჩვენ ფრანგებს ვერეკებოდით მარნის მეორე მხარეს და ამ დღეს გარღვეულ იქნა არა ჩვენი, არამედ ფრანგების ფრონტი.

გაზეთების ფალსიფიკაცია ჩვენ მოპირდაპირების მიერ არ არის არა ჩვეულებრივი მოვლენა. როცა მე სარაყამიშში ვიყავი, იქ ინგლისელები ჰაეროპლანებიდან ჰყრიდენ კონსტანტინოპოლის გაზეთის „ტანინის" ყალბ ნომრებს, რომ მცხოვრებლებში ტყვილი ცნობები გაევრცელებიათ, მაგრამ იქ ხალხი გაუნათლებელია და აქ კი მე არ მჯერა თფილისში მოინახოს თუნდაც ერთი კაცი, რომელიც ამ ხმას დაიჯერებს. ამასთანავე გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ გერმანიის ოფიციალური სამხედრო ცნობები ყოველთვის სავსებით სწორია".

# ახალი ამბები

**დღეს ორ საათზე დანიშნულია საოლქო კომიტეტში სოც.-დემ. მუშათა პარტიის კრება ბიუროს ბინაზე.**

◆ დღეს 11 საათზე დანიშნულია საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის** მოწოდების თანახმათ საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის წევრთ, რომელთაც იარაღის ნებართვა აქვთ აღებული შტაბიდან, გამოცხადდენ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში და დახმარება გაუწიონ მას საზოგადო ქონებათა დაცვის საქმეში, ვინც ამას რაიმე საპატიო მიზეზის გამო ვერ შესძლებს, ის ვალდებულია შტაბ იარაღი უკან დაუბრუნოს.

◆ **სახალხო გვარდიის** მთავარმა შტაბმა დაამტკიცა გორის შტაბის შემადგენლობა და მის განკარგულებაში გადაეცა 30 ათასი მანეთი.

◆ **დამცველ შტაბმა დააპატიმრა** დარიალის ბათალიონის უფროსი პოლკ. ადიუტანტი აბესაძე და საქ. სამხედრო გზის დამცველი რაზმის აფიცერი ფიქევხიშვილი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

◆ **თიანეთში ბრბოს დაუტუსაღებია** ალმ. კომიტეტის მდივანი ნიკო ნადიბაიძე, კომისარის მდივანი ბოძაშვილი, ტუქიშვილი, უნცაშვილი და ათი მილიციონერი, მაზრის კომისარი ო. ლაცაბიძე, მისი თანაშემწე და საად.-მაზრის კომიტეტის თავმჯდომარე წიკლაური გაიქცნენ. ბრბოს ხელმძღვანელობდენ ნაციონალ-დემოკრატი შაქრო გელოვანი, ბოქაულის მწერლათ ნამყოფი ლექსო ბიცინაშვილი, „ურიადნიკათ" ნამყოფი ბიძინა არაბული, ნამამასახლისარი ეგნატე ჯაკარაშვილი.

◆ **ალექსანდროპოლიდან** იტყობინებიან, რომ ერზერუმში გაიგზავნა 100 აფიცერი რუსები და სომხები. გუბერნიის მართველათ დაინიშნა რაშიდ-ბეი; რომელიც სასტიკ ზომებს ღებულობს.

მოვაჭრეებს, რომელნიც დუქნებს არ აღებენ, საქონელს ართმევენ.

◆ **მთავრობამ** [illegible] სამასწავლებლო კურსების კანონ-პროექტი. კურსებზე [illegible] გადაიდო 252,500 მან. კურსები 3 თვით იარსებებს. საშუალო სასწავლებელთა მასწავლებელთათვის კი 150,000 მან. უნდა გადაიდოს. ქუთაისის ქალთა პროფესიონალურ სკოლას მიეცემა 4,900 მანეთი.

◆ **ქუთაისის** ქართული გიმნაზიის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა მიეცეს 20 ათასი მანეთი.

◆ **ჟურნალისტების კრება.** პარასკევს საღამოს 7 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია საქართველოს ყველა ჟურნალ-გაზეთთა თანამშრომლების მუდმივი პრესის ბიუროს ასარჩევად. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. საორგანიზაციო ბიურო დაბეჯითებით სთხოვს ყველა თანამშრომლებს აუცილებლად დაესწრონ, ხოლო რედაქციებმა კანდიდატთა სია წარუდგინონ დრობით ბიუროს წინდაწინ.

◆ **შრომის სამინისტროში** საჩქაროთ მუშავდება ორი კანონ-პროექტი: 1) კანონ-პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე საერთო შრომის ბეგრის მოწყობა და 2) ჯამაგირი იმ გვარდიელებისა, რომლებიც იმყოფებიან თავიანთ სამსახურზე.

◆ **გურიიდან და კახეთიდან** თფილისში ჩამოვიდა ახლად გაწვეული სახალხო გვარდია.

◆ **სათადარიგო ჯარის-კაცების ოჯახების** მაისის სახელმწიფო დახმარების მიცემა, ფულის უქონლობის გამო 10 დღით, (5 ივლისიდან 15-მდე) შეწყვეტილია.

◆ **ხოლერა.** ავჭალიდან თფილისის თვითმართველობას ტელეფონით აცნობეს, რომ იქ 3 ივლისს ხოლერით მომკვდარა ერთი ლტოლვილი ქალი. გაგზავნილ იქმნა ექიმი და სანიტარი. 3 ივლისს ქალაქში ავათ გახდა ხოლერით 8 კაცი.

**კრებები და მიტინგები**

პარასკევს 5 ივლისს საღამოს 6 ნახ. საათზე დანიშნულია საბჭოთა პროფესიონალური კავშირების კრება. საბჭოს წევრები, რომლებიც სხდომაზე არ მოვლენ, საბჭოდან გამორიცხულნი იქნებიან.

# საქართველოს სამხედრო გზაზე.

მე ვმსახურობ თფილისის სასურსათო ტრანსპორტის უფროსად.

რამდენიმე თვეა, რაც პურს ვზიდავ ქალაქისთვის ავტომობილებით ყაზბეგიდან და კავკავიდან.

მე, როგორც უფროსი ტრანსპორტისა, მომივიდა ბრძანება, რომ 22 თიბათვეს გავმგზავრებულიყავი სამხედრო გზაზე პურისთვის. 22 თიბათვეს გავემგზავრეთ ავტომობილებით. გავიარე მცხეთა. შეგვაჩერეს და გვითხრეს: თეთრი ბაირაღი გააკეთეთ, თორემ აღელვებული ხალხია და არ დაგიშინონ თოფებიო.

ჩვენც ცხვირსახოცით გავაკეთეთ თეთრი ბაირაღი. გავიარეთ 15 ვერსი. დამხვდენ რამოდენიმე შეიარაღებული პირი ადგილობრივი მცხოვრებლები. სად. წილკანთან გადაგვიდგენ წინ და გაგვაჩერეს. ილანძღებოდენ. ეხლა ხომ ჩაგიგდეთ ხელშიო. ეს პოლკ. აბესაძის ამხანაგიაო, ხიშტებზე ასწიეთ და სხ. ყვიროდენ. მე კი გაშეშებული აქეთ-იქით ვიცქირებოდი. ჩემი შოფერი ეუბნება მათ: კაცო, რა გინდათ, ამ კაცმა რა დაგიშავათო. უპასუხეს: გაჩუმდით, ეს კაცი ჩვენ ვიცით, მენშევიკების და იმერლებისათვის პურს ზიდავსო და ჩვენ კი მშივრები ვართო. მერე მიბრძანეს ხელები მაღლა ამეწია. ამყარეს იარაღი. თუ შენ კაი კაცი ხარ, რათ გინდა იარაღიო, შენ ჩვენ გასაჩხრეკათ მოხვედიო. დამიჭირეს და შეიქნა ყვირილი: დავხვრიტოთ ეს პოლკოვნიკიო. მე, პოდპორუჩიკი, პოლკოვნიკათ მიმიღეს.

სამი დღე-ღამე ტყვედ ვიყავი, მერე გაიგეს სოფლის მოხუცმა პირებმა, რომ ეს და ეს კაცია დაჭერილიო, ყაზბეგელიაო, მოდიოდენ და ყველას ეინტერესებოდა ჩემი ნახვა. როცა სთხოვეს დარაჯებს ჩვენ გვინდა ყაზბეგელის ნახვაო, დარაჯმა მათ ნება მისცა. შემოვიდენ დაეყუდნენ თოფებზე, მიცქეროდნენ საშინელი თვალებით და იძახდენ: ეს ვინმე ძალლი იქნებაო. მიღერებდენ თოფსა და ჯოხს. მე კი შიშით ვერ ვლაპარაკობდი. ერთი საათის შემდეგ მოვიდენ და ხელები გამიკრეს. უნდოდათ დავეხვრიტე, მაგრამ უკანიდან კომისარმა დაუყვირა: მაიცა, მაიცა კიდევ გამოვიძიოთო, დუშეთში გავგზავნოთო. მერე გამიხსნეს ხელები. წამიყვანეს დუშეთში და იქ ავუხსენი, სადაც ვმსახურობდი, ამ საქმეში მე წილი არ მიდევს და სხ. იქ გამოჩნდენ ჩემი ძმა კაცები, რომლებმაც სთქვეს, რომ ამ კაცს ჩვენ ვიცნობთო. უცბათ დაიძახეს: თავისუფალი ხარო და მითხრეს: უნდა ქალაქში მაინც მიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეთო, რომ აღარ დაგიჭირონ გზაზე და გამოგაყოლებთ ჩვენს კა[illegible]საო. მეც მადლობა ვუთხარი. მომცეს ქაღალდი, რომელიც სიტყვა სიტყვით აქვე მომყავს:

«Удоставерыніе за №... дано сіе удаставерыніе гражанину Р. И. Пицхелаури Втомь что онь оказался правилъ прошу таваричи прапустить сваботно гражданинь за неимениемь кармони печати удостореряю Свои соб. ственоручо. Предцедатель душетскаго Штаба балшевиковъ. გაბო მწითური.

რ. ფიცხელაური.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

**2 ივლისის სხდომა.**

(დასასრული).

გრძელდება კამათი შეკითხვების გარშემო.

**რ. გაბაშვილი** (ნ. დ.) მთავრობას უკიჟინებს უმოქმედობას, უტაქტობას და სხვა, რაც მისი აზრით მიზეზია მთავრობის აპარატის სისუსტისა. დღევანდელი მთავრობა თავის მოქმედებით აძლიერებს ანარქიასო. წამოაყენა ბრალდებები, თითქოს ერთის მხრით მთავრობა მკაცრ ზომებს ღებულობდეს, ხოლო მეორეს მხრით კი სირბილეს იჩენდეს. მთავრობა ყოჩაღია,—ამბობს ის,—გლეხების წინააღმდეგ, მარა არ ღებულობს ზომებს იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც მიზეზია ამ არევ დარევისა. ის ილაშქრებს რუსობის, ბალშევიკების, ხომხების ადმინისტრაციის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ესენია ანარქიის მესვეურები და არა ისინი, ვისაც ასე სას- [illegible]

დადის მორიგ კითხვაზე. საბჭომ მიიღო ხმის დიდი უმრავლესობით. შემოაქვს მეორე შეკითხვა ვაჩნაძეს (ნ. დ.) თავის შეკითხვაში ამბობს, რომ შეთქმულობა ეწყობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსის აფიცრობის და გენერლობის მხრითო. მოჰყავს ლებედინსკის და სხვების მოღვაწეობა და მოითხოვს დაენიშნოს დრო რუსობას, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში დასტოვებენ ჩვენს ტერიტორიას. მზათ არის გერმანელების გემი და წაბრძანდენო.

**გრ. გიორგაძე** (ს. დ) საფრთხეს ხედავს არა მთელ რუსეთის აფიცრობის მხრით, არამედ ნაწილის. ჩვენში, ვინც ბოროტებას ჩაიდენს, დავსჯით, ვინც უნდა იყოს ის, მარა ზომა, რომელზედაც გვითითებს ვაჩნაძე, მიუღებელია, რადგან ეს გამოიწვევს სამოქალაქო ომს. ეს ზომა აღვივებს ნაციონალურ შუღლს. მთავრობას აქვს ყოველივე შეთქმულების და დანაშაულების წინააღმდეგ ზომები მიღებული და შეკითხვა ულალგოთ მიაჩნია. საბჭომ მოისმინა რა გრ. გიორგაძის განმარტება დამაკმაყოფილებლათ სცნო ის.

ს. ჩ.

## ჩემს გურიას

(მისალმება)

გამარჯვება ჩემს გურიას,
ჩემს მზესა და მთვარეს;
მის ჯადოსნურს სილამაზეს,
პოეზიის მხარეს!

გამარჯვება თავ ქოჩორა
მთის კეკლუც მწვერვალებს;
არწივების კლდის ნაპრალებს,
ბულბულების ჭალებს!

გამარჯვება ამა კუთხის
სახელოვან შვილებს,
ჩაქურაში ჩაწკეპილებს,
გონება-მახვილებს!

გამარჯვება გურულ ქალებს,—
შავს და ზღვისფერ თვალებს;
გურულ მამებს, გურულ დედებს,
სამშობლოს იმედებს!

გამარჯვება ჩემს გურიას,
ჩემს მზესა და მთვარეს,
მის ჯადოსნურ სილამაზეს,
პოეზიის მხარეს!

თუმც დღეს კარზე მოსდგომია
მუხანათი მტერი,
მაგრამ მწამს რომ გაიმარჯვებს
მხარე მშვენიერი!

გ. ქუჩიშვილი.

## მუშათა წერილები

**ჩვენ მარტონი ვართ, ყველა ჩვენი მტერია.**

პროლეტარიატი უკიდურესი მეამბოხეა, მისი მახლობელი მიზანია დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა და შექმნას ძლიერი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ორგანიზაციები, რათა შემდეგში თავისი ძლიერი ორგანიზაციების მეოხებით დაამხოს დემოკრატიული წეს-წყობილება და დაამყაროს სოციალისტური წეს-წყობილება, მანამდის პროლეტარიატი ვერ დაჰყრის [illegible]

შეიძლება ჩვენში იყოს ისეთი პიროვნებები, რომლების საქციელიც ჩირქსა სცხებდეს ჩვენს ორგანიზაციებს. შეიძლება ჩვენ გადაგვიდგამს ისეთი ნაბიჯები, რაიცა არ შეესაბამება ნამდვილ პროლეტარულ სოციალისტურ პოლიტიკაპრინციპებს, ჩვენ ამას ხელი არ უნდა დავაფაროთ და გაბედულათ ვაღვიაროთ მანამდის, სანამ ჩვენი მტრები დაცინვით არ მიიპყრობენ ჩვენს ყურადღებას ჩვენივე შეცდომებზე. თუ ჩვენ მუშები ყველაფერ ამას და მომავალ ბოროტებას არ გავუწევთ ანგარიშს და რაიმე ნაირათ არ დავიხსნით რევოლიუციას სრულ დაღუპვისაგან, სხვები სულაც არ გაიცხელებენ თავს. გული სტკიოდათ, სტკივათ და ეტკინებათ მხოლოდ და მხოლოდ იმათ, ვინც პროლეტარიატთან ერთათ თვით ბრძოლის პროცესში იღებდა მონაწილეობას, სოციალიზმის ისტორია-აუცილებლობას გახრწნილი ბურჟუაზიის იდეოლოგების სქელ ტომიან რომანებით არ სწავლობდა და „ლეგალურათ“ არ უყურებდა პროლეტარიატის და რევოლიუციის საქმეს სათვალეების საშუალებით.

ჩვენ მარტონი ვართ, ყველა ჩვენი მტერია, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს. თუ რევოლიუცია დამარცხდა, ყველაზე მეტათ ჩვენ ვიქნებით წაგებული და რომ კვლავ არ ჩავძვრეთ სარდაფებში და ორგანიზაციები არ დაგვენგრეს, ახლავე ყველა მუშებმა ერთგულათ, შეთანხმებულათ უნდა ვიმოქმედოთ და ცოტაოდენი რამე მაინც შევინარჩუნოთ რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებიდან. შევქნათ ძლიერი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ორგანიზაციები და ვაწარმოვოთ ჩვენი კლასობრივი პოლიტიკა-ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც შეეცდება ჩვენ დაჩაგვრას. ვინც ორგანიზაციულათ შეკავშირებულია, მას მოწინააღმდეგეც უწევს ანგარიშს და თუ ეს ასეა, შევუდგეთ ჩვენს საქმეს. ჩვენ ამ ჟამათ არ მოგვეპოება ძლიერი ორგანიზაციები, ჩვენ ბევრი დრო დავკარგეთ ლაპარაკში, კრებების მოწვევაში. მტერი კი სარგებლობს ჩვენი არარაობით—სისუსტით და აბუჩათ გვიგდებს ყველა ვიგინდარა.

ა. ფარნიევი

## ოსმალეთის დესანტი სოხუმთან.

28 ივნისს წყურგილში (ა. შარაშიძის ყოფილ მამულში), სადაც გაჩერებული იყო ოსმალების მიერ გადმოსხმული დესანტი, შესდგა მრავალრიცხოვანი კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელ ისიდორე რამიშვილმა, ზღვის ნაპირის ფრონტის ჯარების წარმომადგენელ პორ. ჩხოტუამ, აფხაზების სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შარაშიძემ, მღვ. თუმანოვმა, მოსულმა თურქებმა და აბხაზ მცხოვრებლების წარმომადგენლებმა.

როგორც გამოირკვა, გადმოსხმულ ოსმალთა დესანტს სათავეში ედგა ოსმალეთის პოლკოვნიკი, მოსული ოსმალოები ირიცხებოდენ ოსმალეთის სამხედრო სამსახურში, თან ჰქონდათ ერთი ტყვიის მფრქვეველი და სანიტარული ნაწილი. როცა მათ შეეკითხენ მიზეზი მოსვლისა, მათ უპასუხეს: რომ ისინი არიან ოსმალეთის ქვეშევრდომი აფხაზები და ჩერქეზები. მათ გაიგეს რომ აფხაზები შევიწროებულნი არიან, მათ აწუხებს ანარქია და თვითონ უძლურნი არიან წინააღმდეგობა გაუწიონ მტრებს და ამიტომ ჩვენ მივიღეთ ოსმალეთის მთავრობისაგან იარაღი, ნებართვა და მოვედით მათ დასახმარებლათო. და თან დაუმატეს, რომ მათ სურთ აქ სამუდამოდ დარჩენა. მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა უპასუხა მათ, რომ ოსმალების შემოსვლა საქართველოს და აბხაზეთის ტერიტორიაზე რესპუბლიკის მთავრობის დაუკითხავათ ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელია. საქართველო და აფხაზეთი შეთანხმდენ ერთმანეთთან, ამ შეთანხმების თანახმად საქართველოს დემოკრატია თავის თავზე იღებს აფხაზთა ხალხის დახმარებას, უკანასკნელნი კი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში სარგებლობენ თავისუფლებით, მათ ყავთ სათავეში სახალხო საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკას არ შეუძლია დაუშვას მის საქმეებში ოსმალთა შეიარაღებული რაზმის ჩარევა. თუ სხვა და სხვა დროს აქედან გადასახლებულთ სურდათ ისევ დაბრუნება, ამისთვის საჭირო იყო რესპუბლიკის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმება და არა საიდუმლო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზთა სახალხო საბჭოს დაუკითხავად დესანტის გადმოსხმა. საქართველოს რესპუბლიკის ერთად ერთი მიზანია აფხაზეთის ხალხის თავისუფლების და ინტერესის დაცვა. აფხაზთა სახალხო საბჭოს სარმომადგენელმა სავსებით გაიზიარეს ის. რამიშვილის განცხადება და გამოსთქვეს თავიანთი მოსაზრებები იმის შესახებ, რომ დაუშვებულია გარეშე ძალის ჩარევა საქართველოს და აფხაზეთის ურთ-ერთშორის დამოკიდებულებაში.

ადგილობრივ მცხოვრებლების წარმომადგენლებმა—აფხაზ გლეხებმა ერთხმათ განაცხადეს, რომ მათი ინტერესების საუკეთესო და ერთად ერთი დამცველი არის საქართველოს დემოკრატია. საქართველოს მთავრობამ მთელს ოლქში მოსპო ანარქია და მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ დაუბრუნდენ თავიანთ სამუშაოს. გლეხებმა ხაზ გასმით აღნიშნეს, რომ ოსმალების შემოსვლას შეუძლია შინაური უთანხმოება და ომი გამოიწვიოს და მით დაღუპვის გზაზე დააყენოს სოხუმის ოლქის დემოკრატია.

ამის შემდეგ დესანტს წინადადება მისცეს 24 საათის განმავლობაში დაეყარა იარაღი და გასულ იყო ოლქიდან. („ნ. ს.“)

## საშა რიკაძე

ამ რევოლიუციის ხანაში თფილისის რკ. გზის დეპოს მუშებმა არა ერთი და ორი ამხანაგი შესწირეს მსხვერპლად საზოგადო საქმესა და კიდევ ვინ იცის რამდენ მსხვერპლს გაიღებენ. მაგრამ საშა რიკაძის დაკარგვით კი ჩვენ დეპოს მუშებმა, დავკარგეთ საუკეთესოდ მომზადებული ამხ. როგორც თეორეტიულად, აგრეთვე პრაქტიკულად. გამხეცებულმა ბრბომ არ დაინდო საუკეთესო ამხ. საშა და მხეცურად აწამეს დუშეთში და გამოასალმეს წუთისოფელს.

ვინ იყო საშა რიკაძე? საშა რიკაძე იყო ერთი უბრალო მწერალი თფილისის რკინის გზის დეპოს კანტორისა. საშამ მუშებში დაიმსახურა ნდობა, ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს ის მუშაობდა არა ლეგალურ წრეებში და ათვითცნობიერებდა ამხანაგებს. ის არა ერთხელ იყო დატყვევებული ჟანდარმების მიერ, მაგრამ ყოველთვის იტანდა მათ გნით მიყენებულ შეურაცყოფას და მოელწრო თვითმპყრობელობის დამხობას. როდესაც თფილისის შეგნებულმა მუშებმა გამართეს პირველი კრება მუშათა საბჭოს შედგენის გამო და აირჩიეს კომისია, ვის რომელ დარგში უნდა მოეხდინა კრებები და აეხსნათ მისი მნიშვნელობა, საშა რიკაძე არ იყო იმ დროს კრებაზე, მარა ამხ. მაინც წამოაყენეს მისი კანდიდატურა და მე, ამ სტრიქონების დამწერმა, გადავეცი მეორე დღეს, რომ მას ამხ. დაავალეს მოეხდინა დეპოს მუშების და მოსამსახურეების საზოგადო კრება, რაც მან პირნათლად შეასრულა, მიტინგზე მან მომუშავეებს გააცნო ნიკოლოზის ტახტის დამხობა და მ. საბჭოს მნიშვნელობა. არჩევნების დროს დეპ. მუშ. ს. რ—ძეს როგორც ბრძოლაში გამოწრთობილს, მიანდო თავისი ბედი და ის გაგზავნეს სხვა ამხ ერთად წარმომადგენლად მუშათა საბჭოში და აგრეთვე დეპოს აღმასრულებელ კომიტეტში. როდესაც პირველი კრება შესდგა ამიერ კავკასიის რკინის გზის სიეზდის, ამხ. საშა არჩეულ იქნა ცენტრალურ აღმ. კომიტეტში. საშა რიკაძე პირველ რაიონმა აირჩია თფილისის პარტიულ კომიტეტის წევრად და აქ ბოლო ხანში, როდესაც მიწის კანონი უნდა გაეტარებინათ ცხოვრებაში, ის პირველმა რაიონმა გაგზავნა დუშეთის მაზრაში, სადაც შეუგნებელმა გლეხებმა ვერ შეიგნეს თავისი ინტერესების დამცველის მოწოდება და აყვნენ ფეხის ხმას მობოლშევიკო აგიტატორების მოქმედებას, რომლებმაც ააჯანყეს და ბრძოლა გამოუცხადეს ჩვენ ნორჩ დემოკრატიულ რესპუბლიკასა, რომელიც უნდა მისცენ ცეცხლსა. და აი, ამხ. საშა, როგორც დამცველი ამ რესპუბლიკისა, უხსნის ხალხს და მოუწოდებს მათ დაიცვან წეს რიგი და ნუ ღუპავენ, თავიანთ თავსა. მაგრამ ხულიგნებისგან მოწამლული ბრბო არ უგონებს მას და სამაგიეროთ უსპობს მას სიცოცხლესა.

დიახ, ამხ. საშამ განვლო თავისი ეკლიანი გზა და რის გაკეთებაც შეეძლო მან გააკეთა, და ბევრის გაკეთებაც შეეძლო მაგრამ ბოროტმა ხალხმა აღარ დააცალა მას.

ამხ. საშა! იძინე ტკბილად ცივ სამარეში და შენ სახელს არ დაივიწყებს და მუდამ იქნები ლამპარად ამხანაგების გულში. შენი დაწყებული საქმე და იდეია არ მოკვდება, რამდენი მტერიც არ უნდა გაუჩნდეს მას.

გ. ქურული.

## მილოცვა

„დრო მოვა და იმ ჯაჭვს გასწყვეტს
თავს აიშობს გმირთა გმირი.
და არაფრათ ჩაეთვლება
აჰდონიხნის გასაჭირი.

აკაკი

დიახ! აღსრულდა! კავკასიის მაღალ მთაზედ მიჯაჭულმა ამირანმა აიწყვიტა მონობის ჯაჭვი, მრავალ ჟამობით ტანჯულმა გმირმა „ამირანმა“ დაამსხვრია ბოროტების, მონების ბორკილი, აჰ ჟამათ თავისუფალმა და მხნემ იგრძნო თავისუფლების სიუხვე და მედგრათ შესძახა მრავალ დროებით მწუხარების ძაძში შემოსილს საქართველოს მთებს „გაუმარჯოს ბორკილ აყრილ თავისუფალ საქართველოსო“. გულის სიღრმემდის გვწვდა ეს იმედებით და სიყვარულის ნაპერწკლებით სავსე სიტყვები საქართველოს გმირი ამირანი'ა ჩვენ რუსეთის შორეულ კუთხეში გაფანტულ საქართველოს შვილთ ქართველებს, ვუერთებთ ჩვენს მეგობრულს ხმას, და სალამს გულის სიღრმიდგან და ვულოცავთ დიად გამარჯვებას წითელის ასოებით ჩვენს მრავლათ ტანჯულს, მამა პაპის სისხლით მორწყულს მინდორ ველათ საყვარელ საქართველოს. მუდამ გვწამდა, რომ არა ერთხელ და ორხელ გათელილა საქართველო მტრის დაუნდობელ ცეცხლითა და მახვილით, არა ერთხელ უგვრძნია მას ბრძოლის უსასტიკესი სიმკაცრე, მაგრამ არც ერთხელ არ დაცემულა სულით და იმედი არ დაუკარგავს, ის კვლავ აღმდგარა, კვლავ აღუმართავს თავისუფლების წითელი დროშა საქართველოს ბურჯს მეტეხის თავზე და გამარჯვების ზეიმი გაუმართავს, დიდი ხანია ეს დროშა არ ამშვენებდა საქართველოს, დიახ, დღეს დღესასწაულია, მეტეხის თავზე კვლავ ფრიალებს თავისუფლების საქართველოს დროშა, რომელიც ამაყათ და უშიშრათ ეთამაშება მთის ნიავს. დიახ, მონობის ბორკილი დაილეწა და საქართველო თავისუფალია და იქნება მუდამ. დღეს ისტორიული დღეა საქართველოსი, ვდღესასწაულობთ და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს, დე უტყვმა ქვამაც იღაღადოს საქართველოს სიდიადე და სიამაყე, ჩვენ კი ჩვენი ხმა შევუერთოთ გმირთა-გმირ ამირანს.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ბორკილ-აყრილ თავისუფალ საქართველოს!

გიძღვნით სალამს ქ. ცარიცინის ქართველთა სახელით და გთხოვთ გადასცეთ საქართველოს.

ცარიცინის ეროვნულ საბჭოს კომისარი

გრ. ხიოს ძე კოპიძე.

ცარიცინის ეროვნ. საბჭოს თავმჯ. პორფირე მეთოდის ძე ნიკოლაშვილი.

## ლტოლვილნი

ბათომის ოლქიდან გადმოხვეწილნი გაფანტულნი არიან ოზურგეთის მაზრის სხვა და სხვა საზოგადოებებში. უმთავრესად კი—ლანჩხუთის რაიონში.

აქავე ქ. ლანჩხუთში იმყოფება გადმოხვეწილთა დამხმარე კომიტეტი; უკანასკნელი, დაინტერესებული იმით, რომ ყოველ ნაირი დახმარება ფულით იქნება ის, თუ სურსათით, შეძლების და გვარათ, სამართლიანად უნაწილდებოდეს გადმოხვეწილებს, მოითხოვს მათგან მოწმობას, რომელიც უნდა ადასტურებდეს ყველა ნამდვილ გადმოხვეწილთა ოჯახის ნამდვილ რაოდენობას, სთხოვს გადმოხვეწილთ, მოწმობაში შეატანინონ მხოლოდ ის პირები, რომლებიც გადმოხვეწილნი არიან ბათუმის დაცემის გამო.

კომიტეტი გადმოხვეწილთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ის ყალბი მოწმობების პატრონებს პასუხის გებაში მისცემს და საჯაროთაც გამოაცხადებს მათ ვინაობას.

იგივე კომიტეტი—ოზურგეთის მაზრის საზოგადოებათა კომისარებს და ორგანიზაციებს სთხოვს ხელი შეუწყონ კომიტეტს სწორი ცნობების მიღებაში.

ბათუმის ოლქიდან გადმოხვეწილთა დამხმარე კომიტეტი.

ქ. ლანჩხუთი.

P. S. ვთხოვ ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ.

## რუსეთში

(დასასრული)

რა ძალას ეყრდნობა რუსეთში დღეს ბალშევიზმი?

ემხრობა ხალხი მას, თუ არა?

შეცდომა იქნებოდა, რომ გვეთქვა, ფართო მასსა არასოდეს არ მიმხრობია მასო: ერთ დროს ის მართლა დადგა ბალშევიკების დროშის ქვეშ.

ან რა უთხრეს ხალხს ბალშევიკებმა ისეთი, რაც ხალხისთვის არ იყო მისაღები?

სულ სხვა საქმეა, თუ რა იყო შესაძლებელი.

ხალხმაც ვერ შესძლო არსებული პირობების სწორი დაფასება. ის გახდა დემაგოგიისა და უმაგალითო ავანტიურის მსხვერპლი.

მხოლოდ რვა თვის გამოცდილებამ, მწარე გაკვეთილებმა, სისხლის ზღვამ და გაპარტახებულ ქვეყნის სურათმა დაანახვა ხალხს, თუ რა სასტიკად მოსტყუვდა ის.

უნდა ითქვას, რომ გამოფხიზლება უფრო გვიან მოდის, ვიდრე საფიქრებელი იყო.

დღეს კი რუსეთში, ქუჩაში და ბაზარში, თეატრში და მატარებელში,—ყველგან გაისმის მომაკვდინებელი კრიტიკა ბალშევიკების წინააღმდეგ.

შესამჩნევია, რომ ეს კრიტიკა ჩვენ ქალაქში უფრო ზომიერია, ვიდრე რუსეთის ქალაქებში: იქ მას მებრძოლი კილო და ხასიათი აქვს. ის უფრო გაბოროტებულია, ვისაც მეტი გადახდა.

„ყაჩაღები“, „მძარცველები“, „მკვლელები“—ასე უმასპინძლდება დღეს ხალხი მათ, ვისზეც გუშინ დიდ იმედს ამყარებდა. განსაკუთრებით შეურიგებელნი არიან დედაკაცები. ისინი უფრო თავისუფლათ და ენაწყლიანათ გამოსთქვამენ იმას, რასაც ჰფიქრობენ და გრძნობენ.

ერთი რამ არის კიდევ აღსანიშნავი. ხალხი ხედავს, რომ ბალშევიკების საქმიანობამ დაღუპვამდის მიიყვანა ქვეყანა, მაგრამ მას ამის მიზეზათ ბალშევიკების ყაჩაღობა მიაჩნია; მას ჰგონია, რომ ბალშევიკები უფრო პატიოსნები ყოფილიყვენ, ყველაფერი კარგათ იქნებოდა.

გულუბრყვილონი! მათ არ იციან, რომ აქ თავი და თავი არის არა ბალშევიკების „უნამუსობა“; მათ არ იციან, რომ ყველა ბალშევიკებიც კეთილ-სინიდისიერნი იყვენ, დღეს რუსეთში სოციალიზმს მაინც ვერ დაამყარებდენ, სწორედ ისე, როგორც უუპატიოსნესი ბებია ვერ დააბოლოვებდა თავის საქმეს კეთილად, დედის მუცლიდან ოთხი-ხუთი თვის ნაყოფის სასიცოცხლოდ გამოღება რომ მოენდომებია.

რუსეთში უკვე დაიწყო ფართო მოძრაობა ბალშევიკების წინააღმდეგ. ის გამოსვლები, რომელთაც წინად ჰქონდა ადგილი, იყო ნაადრევი. ბალშევიზმს კიდევ ჰქონდა გასავალი ხალხში.

ჩანს, რუსეთის ყველა ნაწილს უნდა მოეხადა ის სენი, რომელსაც ბალშევიზმი ჰქვია, უნდა ეგრძნო აუტანელი ტკივილები, რომ შემდეგ წამალზე და თავდაცვაზე ეფიქრა.

ეხლა საქმე ის არის, თუ როდის მოვა განკურნება, რა ფასათ დაუჯდება ის ხალხს.

რუსეთის დღე-მოკლე ანტიბალშევიკურ (მენშევიკებისა და ესერების) პრესაში შეხვდებით პესიმისტურ აზრს, რომ რუსეთში დაიღუპა არა თუ სოციალისტური რევოლიუცია—ეს ასეც უნდა მომხდარიყო—არამედ დემოკრატიული წყობილებაცო, მაგრამ თუ ასეთი უიმედო დიაგნოზი ჯერ ნაადრევია, ყველა შემთხვევაში არაფერი იქნება გასაკვირველი, რომ ხანგრძლივმა ანარქიამ ხალხი სასოწარკვეთილებამდის მიიყვანოს და ნიადაგი მოუმზადოს მონარქიის აღდგენას.

დღეს რუსეთში დაიწყო არა მარტო უბრალო უკმაყოფილება ბალშევიკებისადმი, არამედ—იარაღით ბრძოლაც.

ჩრდილოეთში საქმეს კიდევ ამწვავებს შიმშილი. იქ უკმაყოფილონი თავს იყრიან ბალშევიზმიდან გამდგარ „ფრონტოვიკების“ გარშემო; სამხრეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში ამხედრებულია და დიდ აქტივობას იჩენს ყაზახობა. უნდა ვიცოდეთ, რომ ამ უკანასკნელთ ბალშევიკების სრული ბატონობა არასოდეს არ მიუღიათ.

მაგალითად, ასტრახანის გუბერნიაში ყაზახების ერთ სოფელს, სახელდობრ ბუკატინოს, დაადვეს ათი ათასი მანეთი „კონტრიბუცია“. ყაზახებმა გაიცინეს და შეუთვალეს ბალშევიკებს—მობრძანდით და მიიღეთო.

ბალშევიკებმაც ვერ გაბედეს ძალის ხმარება. დღეს რუსეთში ბალშევიკებს იარაღით ებრძვიან, მაგრამ, როგორც ჩანს მოძრაობა სტიქიური და უორგანიზაციოა. მაგალითად ქალაქ ცარიცინს, რომელიც სამხრეთში და სამხრეთ აღმოსავლეთში სამოქმედო ბაზათ გადააქციეს ბალშევიკებმა, ყველა მხრიდან თავს ესხმიან, რომ ბოლო მოუღონ იქ ბალშევიკების ბატონობას, ქალაქს ოთხი თუ ხუთი ფრონტი აქვს (ვოლგის, არჩედის, ნ. ჩირსკის და სხ.), მაგრამ არა სჩანს, რომ ამ ფრონტებს რამე კავშირი ჰქონ-

დეთ ერთმანეთთან. დღეს ერთ ფრონტზე ბრძოლა, ხვალ მეორეზე და ჯერ-ჯერობით, ასე თუ ისე, ბოლშევიკები უმკლავდებიან ნაწილ-ნაწილათ მოსულ მტერს.

სხვათა შორის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს ბრძოლა მეტის მეტ მკაცრ ხასიათს იღებს, და დაჭრილ-დახოცილები საშინლათ დასახიჩრებულნი არიანო.

ყაზახების მოძრაობაში სოციალისტური პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას არ იღებენ, ყველა შემთხვევაში მე მაინც არ გამიგონია, რომ ისინი დამდგარიყვენ ან მათ მხარეზე, ან წინააღმდეგ, მაგრამ ბოლშევიკების გაზეთები სწერდენ, რომ ჩეხო-სლოვაკების გამოსვლა ესერებისა და მენშევიკების კურთხევით და დახმარებით სწარმოებსო. აქ დაუჯერებელი იქნებ არაფერი იყოს, თუმცა დასახელებულ პარტიებს ხალხისთვის მიწოდებით არ მიუმართავთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩეხო სლოვაკები თავის პროკლამაციაში ეფიცებიან რუსეთს ერთგულობაში და ძმობაში, მიზნათ ისახავენ ბოლშევიკურ მართველობის დამხობას, რათა შესაძლებელი გახდეს შეკრება დამფუძნებელი კრების, რუსის ხალხის კანონიერ წარმომადგენლობის, ამ ერთად ერთ გამომსახველის ქვეყნის სურვილისა და მისწრაფების.

დაახლოვებით ასეთია დღეს რუსეთის და მისი მთავრობის მდგომარეობა.

ეს უკანასკნელი დიდის მოხერხებით ცდილობს ჯავშნიან მატარებლებს, „წითელ არმიასა და წითელ გვარდიას“, ამ მხოლ ძალას, რომელსაც შესაძლებლათ აქვს [illegible] რუსეთი და ჩინელების რაზმებს [illegible] რუსეთის დაავადმყოფებულ ტანზე.

თუ გნებავთ, რუსეთის მაგალითი დღეს კლასიკური მაგალითია უმცირესობის უმრავლესობაზე ძალმომრეობისა, მაჩვენებელი ტერორის საშინელი ძალისა. ჰხედავთ ყველა ამას და ფიქრობთ, რომ პლატონს ქრისტეს დაბადებამდის სიზმრით უნახავს რუსეთის დღევანდელი სინამდვილე, თორემ უამისოთ ვერასოდეს ვერ აწერდა ისეთი ზიზღით და სარკაზმით იმ წყობილებას, რომელსაც დემოკრატიზმი ეწოდებაო.

ასეთი მდგომარეობა აუტანელი და მოუთმენელია. ის დიდხანს ვერ გასტანს. ბოლშევიკობის ბრძანებლობაც უნდა დაეცეს, ამას მოითხოვს საქმის ლოღიკა, კითხვა მხოლოდ იმაშია, როდის მოხდება ეს.

ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილი იქნებოდა მაშინ, რომ რუსეთის რევოლუციის ბედს მხოლოდ შინაგანი ძალების განწყობილება სწყვეტდეს, მაგრამ, სამწუხაროთ, ასე არ ხდება და ეს გარემოება ავიწყდებოდათ წინაწარმეტყველებს ბოლშევიკების მეორე დღესვე დაცემისა.

დღეს ქვეყნის ბედზე დიდი გავლენა აქვს გარეშე ძალას...

ალფა ცისკარიძე.

## სააღ.-მამულო რეფორმა

**ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა მიმართ.**

მოქალაქენო! ჩვენი ტყეები შეადგენს საქართველოს სიმდიდრეს, სილამაზეს და კეთილდღეობას. არსად ამიერ-კავკასიაში არ არის ისეთი მომხიბლავი და მდიდარი ტყე, როგორიც საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ე. ი. ქუთაისის გუბერნიაში. მთებისა და ტყეების წყალობით საქართველო ერთი ულამაზესთაგანი კუთხეა მთელს დედამიწის ზურგზე, რაც ხიბლავს და იზიდავს ევროპელთა ყურადღებას. ტყეების წყალობით საქართველოს მკვიდრნი განირჩევიან ჯანმრთელობით და ნივთიერი უზრუნველყოფით: ტყეები აჯანსაღებენ ჩვენი ქვეყნის ჰავას, [illegible] მთიდან მოჩხრიალე მდინარეებს; დასაბამს აძლევენ სხმულ წყაროებს, იფარავენ მთებს და კლდეებს დაშლისაგან და დარაჯათ უდგიან მინდორ-ველს ნიაღვრისაგან, გვაძლევენ მასალას შენობებისათვის, ხარდან [illegible] სათვის, შეშას და ყოველივე ხის მასალას, ურომლისოთ ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

ერთი სიტყვით—ტყე არის წყარო ჩვენი ხალხის, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის კეთილდღეობისა.

სამწუხაროთ, უკანასკნელ დროს საქართველოს მოქალაქეებმა [illegible] რევოლუციის დევიზი—„მთელი ტყე ხალხისაო“ [illegible] უსაზღვრო ჩეხა; განსაკუთრებით შეესევიან კერძო ტყეებს, რომლებიც 1918 წლის 7 მარტის კანონის თანახმად ჩარიცხულია სახელმწიფო ტყეთა რიგში.

ეხლა აღარ არის კერძო ტყეები, ეხლა ყველა ტყე სახელმწიფოსია და სახელმწიფო კი პირველ საზრუნავათ ისახავს ხალხის კეთილდღეობას—აქედან ცხადია, რომ ყველა ტყეები ხალხის საკეთილდღეოა.

მაგრამ გამოჩნდნენ ჩვენში ბევრი მოქალაქენი, რომლებიც ვერ მიმხვდარან თუ რა რიგ დიდ ზიანს აყენებენ სამშობლოს და ხალხს, როცა უზომოთ შესევიან ტყეს და ქურდულათ კაფავენ, კაფავენ ხშირათ არა [illegible] საჭიროების გამო, არამედ გასასყიდათ! ანგარიში ვერ გაუწევიათ იმ გარემოებისთვის, რომ ასი წლობით მოვლილ და გაზრდილ საქვეყნო სიმდიდრეს ერთ დღეს აჩანაგებენ, მომავალ თაობას ამით საფრთხეში აგდებენ! ამ გვარი ველური მოქმედებით ტყის თავნება გამჩეხელნი სილატაკეს უმზადებენ მომავალ თაობას და საფრთხეში აგდებენ საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას.

საქართველოს ნორჩი მთავრობა ვერავის მისცემს ნებას ეროვნული სიმდიდრის—ტყის—განადგურებისას; ამიტომ ქუთაისის საგუბერნიო საადგილ მამულო გამგეობა მოგიწოდებს თქვენ, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნო, გაუფრთხილდით ტყეს, როგორც საკუთარ სახლს, საკუთარ ვენახს; გახსოვდეთ, რომ ტყეთ საჭიროებას დაგიკმაყოფილებს თქვენ გუბერნიის და მაზრის საადგილ-მამულო გამგეობა ადგილობრივი „ლესნიჩის“ დახმარებით და თუ მაინც გამოჩნდებიან ურჩნი, რომელნიც მოისურვებენ თავის ნებით ტყის მოჭრას—მთავრობა იძულებული იქნება, ხალხის საკეთილდღეოთ, მიმართოს ქურდების ასალაგმავათ სასტიკ ზომებს, რომ დაიფაროს ერის სიმდიდრე.

ტყის უნებართვოთ გაჩეხისათვის დამნაშავეს გადახდება დიდი ჯარიმა ადმინისტრატიულის წესით, მაგალითად: უნებართვოთ თუ ვინმე ერთი კუბიკური საჟენი შეშა მოჭრა.—პირველ ხარისხოვან ტყეში—მას გადახდება 150 მანეთიდან 240 მანეთამდე ჯარიმა და შეშა ჩამოერთმევა; ვინიცობაა თუ გაძალიანდა და ჯარიმის გადახდა არ მოისურვა— მაშინ სამართლის წესით გადახდება ორჯერ მეტი ე. ი. 300 დან 480 მანეთამდე კუბიკურ საჟენში.

საფიცრე ხის მოჭრისთვის კიდევ მეტი გადახდება თავნება ქურდს თუ ქურდობას გაიმეორებს, იმ შემთხვევაში ადმინისტრატიულის წესით ციხეში ჩაამწყვდევენ სამ თვემდე. ერის კეთილდღეობა და სახელმწიფოს ინტერესები ავალებს ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას—უსასტიკესი ზომები მიიღოს ტყეების დასაცავათ.

მივმართავთ თქვენს გონიერებას შეგნებულო, მოქალაქენო! და დაგვეხმარეთ ამ დიდ, სახელმწიფოებრივ საქმეში!

ის ქვეყანა, რომელსაც ტყეს გააჩანაგებენ, თითონ განწირულია დასაღუპავათ! მას ფხიზლათ!

**ქუთაისის საგუბერნიო საადგილ მამულო გამგეობა.**

---

**ხიდნალის მაზრის**, ქოდალოს რაიონის მამულების მიმღები კომისია სთხოვს ამ რაიონის მემამულეებს (ზიარის, ფხოველის, მელაანის და ჰალაუბნის რაიონების) შეატყობინოს მას თავისი მისამართი. იმ მემამულეებს, რომელნიც ვერც თვითონ დაესწრებიან მამულის მიღებას და არც რწმუნებულს გამოგზავნიან, ვსთხოვთ წერილობით შეგვატყობინოს სურთ ქოდალოს რაიონში ხვედრი ნორმის მიღება თუ არა, და თუ სურთ, მამულის რომელ ნაწილში. ქოდალოს რაიონის მამულების მიმღებ კომისიის თავმჯდომარე ა. ო. წულაძე. კომისიის მისამართი: პლატფორმა კაჭრეთი კახ. რკ. გზ. რაიონის კომისარს მამულების მიმღებ კომისიისათვის.

## ქართული სკოლა

ქუთაისის გუბერნიის სამსწავლო კომისარიატი აუწყებს იმ პირთ, რომელთაც სურთ სახალხო მასწავლებლის წოდების გამოცდების ჩაბარება, რომ გამომცდელი კომისია იქნება მხოლოდ ქუთაისში, ხოლო გამოცდები ორგვარი: სრული და შემოკლებული, არსებული წესების მიხედვით მოხდება ენკენისთვის განმავლობაში შემდეგი პროგრამით:

1. **ქართულში:** მასწავლებელმა უნდა იცოდეს ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, ი. ოცხელის და ამხ. „გუთანი“, ივანე გომელაურის „ქართული მწერლები“ I და II ნაწილი. ს. გორგაძის „ჩვენი ძველი და ახალი მწერლობა“ მე-2 წიგნი, ს ხუნდაძის მოკლე გრამატიკა. ევალებათ „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ცოდნა მეთოდიურის მხრივ.
2. **არითმეტიკაში:** არსებული სრული კურსის ცოდნა. მეთოდურათ ცოდნა ჩიმაკაძისა და შენგელიას „ამოცანათა კრებულის“ I და II ნაწილისა. მეთოდიკაში გოლდენბერგი ან ვოზნევსკი.
3. **ისტორიაში:** ს. გორგაძის „საქართველოს ისტორია“ და ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის მოკლე ისტორია“ I და II ნაწილი.
4. **გეოგრაფიაში:** ს. რობაქიძის „სამშობლოს ცოდნა“, „ფიზიკური გეოგრაფია“ ალექსანდრე [illegible] ან ამბაკო [illegible] გეოგრაფია გ. ცაგარეიშვილისა და ამხ.
5. პედაგოგიკაში: ელნიცკი, სასნოვსკი ან სკვორცოვი (რუსულად).

6, მასწავლებელმა უნდა მისცეს აგრეთვე სანიმუშო გაკვეთილი ქართულსა და არითმეტიკაში.

ორ-კლასიანი სასწავლებლის წოდების მისაღებად ამის გარდა საჭიროა გამოცდების ჩაბარება ბუნების მეტყველებაში და გეომეტრიაში უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის კურსის მიხედვით.

ზემო მოყვანილი დადგენილება საგუბერნიო სამსწავლო კომისარიატისა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებული 28 ივნისს ამა წლის № 457

**სამსწავლო კომისარიატი.**

## ს.-დემ. პარტიაში

**რკინის გზის სამმართველო.** 2 ივლისს სამმართველოს პარტიულ წევრთა კოლექტივის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ასათიანი. ფეხზე ადგომით პატივისცა კრებამ ძვირფას მასწავლებელ გ. ვ. პლეხანოვის ხსოვნას. პირველსაკითხზე ერობის შესახებ მოხსენება გააკეთა თავმჯდომარემ. კოლექტივმა დაადგინა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ერობის შემოსაღებ მუშაობაში. რისთვისაც ყველა ინტელიგენტი პარტიული წევრები ვალდებულნი არიან ლექციებს დაესწრონ და შეისწავლონ ერობის საკითხი. სალამოს ლექციები მოკლე ხანში დაიწყება.

გვარდიელების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლომიძე; ირკვევა, რომ სამმართველოს გვარდიელების მოვალეობის ასრულება მათ ძალას აღემატება. 24 საათში გამოუცვლელად დგანან „პოსტებზე“ და ამასთანავე მათი მცირე რიცხოვნობა ვერ უმკლავდება სამმართველოში წესრიგის დაცვას. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ საჭიროა დაქირავებული ძალა იყოს უმეტესად ახლად დათხოვნილ ამხანაგების რიცხვიდან.

ამხ. ხუხუნაიშვილის და რუხაძის მოხსენებიდან სჩანს, რომ ჯამაგირით მოსამსახურეების დაკმაყოფილება ძლიერ უწესრიგოდაა დაყენებული, რაც გამოწვეულია უფულობის გამო. მასთანვე მხედველობაში იქნა მიღებული დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა. ასეთი მდგომარეობა არა სასიამოვნო ხმებს იწვევს. კოლექტივმა დაადგინა ეთხოვოს ვისაც ჯერ არს ამ საკითხების მოწესრიგება, რათა ჯამაგირები და ანგარიში თავის დროზე ეძლეოდეს მუშა-მოსამსახურეებს. ამ ორ უკანასკნელ საკითხებზე მთავარ კომიტეტის და გზის უფროსის წინაშე მოსახსენებლად და ზომების მისაღებათ არჩეულ იქნა მ. ფერაძე.

დაევალა კოლექტივის წევრებს ცხოვრებაში იქნას გატარებული სახალხო გვარდიის შტაბის მოწოდება, რომელიც ავალებდა ყველა ნებადართულ იარაღის მქონე მოქალაქეებს ვალად ედოთ თავზე შინაგანი ფრონტის დაცვა, ვინც ამ მოთხოვნილებას არ შეასრულებს, იარაღი უნდა ჩამოერთვას.

სხდომამ ერთხმად დაადასტურა, რომ უკვე მუქარებს ქონდა ადგილი ჩვენი ამხანაგების მიმართ მაგალითად ამას წინათ ვიღაც თავზე ხელაღებული დამუქრებია გზის უფროსს ალ. კანდელაკს. დადგენილ იქნა, რომ ასეთი პირების წინააღმდეგ მიღებულ იქნას სასტიკი ზომები, ვინც დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ იმოქმედებს სიტყვით თუ საქმით, ან მუქარებს და სხვა რამეებს გაბედავს, დაუყონებლივ დატუსაღებული უნდა იქნას და გადაეცეს მთავრობას. ამავე საკითხმა წარმოშვა სამმართველოში შეიარაღებული ძალის გაძლიერება, რაც მოკლე ხანში ასრულებული უნდა იქნას.

ბოლოს სხდომამ მხურვალე გულისწყრომა და ზიზღი გამოუცხადა იმ ნაძირალებს, რომლების მურტალმა ხელმაც ვერაგულათ მოკლა გულწრფელი პარტიული მუშაკები ამხ. საშა რიკაძე და ავალიშვილი.

**ხაქარელი მ.**

---

**სუფსა.** 20 ივნისს შესდგა სუფსის კოლექტივის კრება. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება გურიის ცენტრალურ კომიტეტის წევრისა; მოხსენება, იაჩეიკებიდან“.

პირველ კითხვაზე კრებამ მოისმინა მოხსენება და დაადასტურა ის, რომელიც უნდა გატარდეს ცხოვრებაში, მეორე კითხვაზე იაჩეიკების წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ როგორც პარტიაში, ისე პარტიას გარეთ ხალხში სულიერი განწყობილება კარგია.

X.

---

**დიდი ჯიხაიში.** 22 ივნისს ადგილობრივ კოლექტივის ინიციატორობით მოხდა ს. დ. პარტიული კრება. დღის წესრიგში იყო, მოხსენება მომენტზე, ეროვნულ-დემ. გამოსვლებზე და ორგანიზა-

ციულ მუშაობებზე. მოისმინა რა კრებამ მოხსენება, შეკითხვების შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ-რა მხედველობაში, შინაურ და გარეშე მტრების შემოსევას, რომლებიც ცდილობენ ჩვენ ფიზიკურ არსებობის განადგურებას და სისხლით მოპოებულ თავისუფლების დასამარებას, ვალად ვიდებთ დავიცვათ საქართველოს ნორჩი რესპუბლიკა და მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, თუნდაც უკანასკნელს შევწიროთ თვითეული ჩვენგანი.

**ლ. ჭემოხეთელი.**

---

**ჭიათურა.** 19 ივნისს შესდგა ჭიათურის სოც.-დემ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება. თამჯდომარეობს ს. სიხარულიძე. ამხ. გ. ანთელიძე აკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე, ფინანსების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სერ. სიხარულიძე, რომელიც მოუწოდებს პარტიის წევრებს შემოიტანონ საწევრო გადასახადი პარტიის კასაში. და გამოინახოს სხვა სალარო;

არჩეულ იქნა: ფინანსიურ კომისიაში შემდეგი ამხანაგები: გიორგი ანთელიძე, მარგარიტა ჩაჩაძე, ანიკო ნუცუბიძე, ევსევი თოდუა, ნატალია სიხარულიძე, სპირიდონ კაკაბაძე, ივანე თევზაძე, მოსე ჩუბინიძე, ამხ. კუპატაძე, დავით კლდიაშვილი, ილიკო ზერძნიშვილი. მოკლე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ბურჯანაძე პარტიულ მუშაობის შესახებ, როგორც სოფლად ისე ქალაქად.

**კ. კაპანაძე.**

## პროვინცია

**ს. ონოღია** (სამეგრელო). ეს სოფელი შესდგება სამასი კომლისაგან, მოსახლეობს მეგრელები. უმრავლესობა გლეხობაა. კულტურულ მხრივ ეს სოფელი მაღლა სდგას. არსებობს: სამკითხველო, კოოპერატივი და ორკლასიანი სკოლა. 1910 წ. ამ სოფლის მცხოვრებლებმა მოინდომეს აეშენებიათ სკოლისათვის ქვის შენობა, ამიტომ გადასცეს მოიჯარადრეებს ასაშენებლათ. მაგრამ ამაოდ. შენობა დღესაც ირ არის აშენებული. კედლები სდგას, მეტი არაფერი. შარშან საზოგადოებისაგან არჩეულ კომისიამ გამოარკვია, თუ ვის ქონდა შეჭმული ფული, მაგრამ ზოგიერთ ხალხის მოღალატეების შემწეობით ჩაფუჩჩდა საქმე. ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

ამ სოფლის გლეხობა მისდევს ხვნათესვის და ვენახის მოშენებას. ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, სადაც არ იყოს ოთხას-ხუთასი ძირი ვენახი. ღვინოც კარგი მოდის, რაც მცხოვრებთ დიდ საშუალებას აძლევს. ათასგვარ ცრუ ხმებს რევოლიუციის დაწყებიდანვე. ზოგიერთი აქაური მემამულეები ავრცელებდენ და ეხლაც ავრცელებენ ხმებს, „თითქოს ნიკოლოზი დაჯდარიყოს ტახტზე, მერე შვილი“, რომლის შედეგი იყო დიდი შიში და წივილ კივილი ქუჩაში. როცა გამოცხადდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, მაშინ ხომ იშოვეს საქმე. „აი თქვენი სოციალდემოკრატები, წინეთ გვეუბნებოდნენ: რუსეთთან სიკვდილი და სიცოცხლეო და ეხლა კი გამოგვყვეს, აწი იმედი დაკარგულია, დაგვერევა რუსები და სულ ამოგვწყვეტენო“ და სხ. როდესაც დაიწყო რევოლიუციის მონაპოვარის პრაქტიკულად განხორციელება (მიწის საკითხი), მაშინ ამ ვაჟბატონებმა არამც თუ ჩუმი აგიტაცია, არამედ—დაიწყეს აშკარა გამოსვლაც. რომ „მთავრობა უძლურია ჩამორთმეული მიწები შეინარჩუნოსო და გირჩევთ ეხლავე გაგვირიგდეთ დამუშავებულ მიწაზე და თუ არა, მერე გვიან ლა იქნებაო“. ამას ზედ დაერთო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადება. „მიწის საკითხი, რომელიც არსებობდა დღემდე, გაუქმებულია, რადგანაც სეიმი გარეკილია, გერმანიამ შემოიტანა ახალი კანონი, რომლის ძალით ჩვენ გვტოვებს ხელუხლებლად; ამიტომ გირჩევთ ეხლავე გაგვირიგდეთ, თუ არა მერე ინანებთო“ და სხვა ამისთანები. როგორც გამოირკვა, როდესაც ამას ლაპარაკობდენ, ჰქონიათ იმედი იმაზე, რომ გაგზავნეს ორასი წარმომადგენელი გერმანიის წარმომადგენელთან და როგორც სინამდვილემ დაგვანახვა, ს. ონოღიიდანაც ყოფილა გაგზავნილი ქუთაისში კაცი ამის მოლაპარაკების მონაწ. მისაღებათ. ნათქვამია ანდაზა: „ჯერ არ დაბადებულა და აბრაამს ათქმევდნენო“. ეს ანდაზა, სწორედ ჩვენი ცნობილ ფეოდალებს ეგრედწოდებულ „ნაციონალდემოკრატებზეა“ ზედ გამოჭრილი. მაგრამ, დეე ნუ ყონ წყალი, თუ რამეს მიიღებენ იქიდან, მხოლოდ ნუ დაგვივიწყებენ, რომ ს. ონოღიაში დემოკრატიას ჰყავს შვილები, რომელნიც შესძლებენ დაიცვან მშობელ მუშის ინტერესი ყვავფეოდალებისაგან.

2ნ ივნისს, ადგ. სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართა წარმოდგენა. ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. წმინდა შემოსავალი 400 მანეთი გადაეცემა საზოგადოებას ადგილობრივ სკოლის ფონდის გასაძლიერებლად.

**პ. ონოღიელი.**

---

**ახალქალაქის რაიონი** (გორის მაზრა). ამ რაიონის მოქალაქეთა მდგომარეობა გამოკვების მხრივ უაღრესათ უნუგეშო სურათს წარმოადგენს დიდი უმრავლესობა თითქმის 99 პროც. შიმშილს განიცდის ამ ცნების სრული მნიშვნელობით, და შინაარსით. ისეთებიც კი, რომლებიც უზრუნველყოფილნი იყვნენ ხოლმე და ზედ მეტ პურნახულს ყიდდენ, ახლა იძულებულნი არიან ნასყიდი პურნახულით ირჩინონ თავი. უდარიბესი ნაწილი ბალახით და ხილეულობით გამოდის, რადგანაც ადგილობრივ თუ მეტი პურნახული მოიპოვებოდა შემოდგომითვე იქმნა სხვადასხვა კომიტეტების მხრივ ჩამორთმეული და გაყიდული უქონლებზე. გარედან შემოტანა კი შეუძლებელი გახდა ყველასათვის ცნობილ პირობების გამო და თუ კიდევ რაიონში არსებული კოოპერატიული დაწესებულებები დიდის გაჭირვებით ახერხებდენ პურნახულის მოწოდებას, ეს ზღვაში წვეთია ემსგავსება, მით უმეტეს, რომ პურნახულის ფასმა, ეგრედ წოდებულ „თავისუფალ ვაჭრობის თეორიის წყალობით“ რომელსაც დაადგა რევოლიუციონურ ორგანიზაციათა უმრავლესობა, ზღაპრული სისწრაფით აიწია და იწევს იმ ზომაზედ რაიც ყოვლად შეუძლებელს ხდის უქონელთა მიერ პურნახულის შეძენას; ან კი, განა წარმოსადგენია, რომ მუშა პროლეტარმა, რომლის ხელფასი განისაზღვრება რამდენიმე მანეთით და ისიც დღევანდელ უმუშევრობის ხანაში გადაიხადოს 120—150 მანეთი ერთ ფუთს სიმინდში ან ქერში და გამოკვებოს ცოლ-შვილი? რა თქმა უნდა ეს ყოვლად შეუძლებელია და საქმეს აუარესებს. თქმა არ უნდა, რომ ახალქალაქის რაიონი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს და სხვა რაიონებიც მცირე გამონაკლისათ ასეთსავე უნუგეშო სურათს წარმოადგენს, რასაც აუცილებლათ, სხვა დანარჩენ მიზეზებთან ერთად ფრიად არა სასურველი შედეგები მოყვეს რევოლიუციასა და ხალხის საქმისათვის, თუ დაუყონებლივ შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული რევოლიუციონური მთავრობის მხრივ ხალხის ამ საშიშ მდგომარეობისაგან გამოყვანის მხრივ, რითაც აუცილებლათ ნიადაგი გამოეცლება იმ ექსესებს და კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს, რომლებიც ამ ნიადაგზე იკვებებიან და რომელთა წყალობით ხანგრძლივდება სწორეთ ეს საშიში და სამწუხარო მდგომარეობა.

ამ ბოლო დროს აქაც, როგორც სხვა ადგილებში, იჩინა თავი ქურდობა-ყაჩაღობამ: წვრიმალ ქურდობას რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე სხვილი თავდასხმასაცა ქონდა აქ ადგილი, როგორც მაგალითად, სოფელ მეტეხში, ძეგვში, ხოვლეში და სხვ. ადმინისტრაციას და ორგანიზაციების მხრივ ზომებია მიღებული ამ მოვლენის ჩასაქრობათ. აქაც, რა თქმა უნდა, კერძო პირების მოქმედებას არ შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ფართო მოვლენის ჩაქრობის საქმეში და რევოლიუციის მეთაურთა ვალია თავიანთი ცოდნა და ენერგია მიმართონ ხალხის შეკავშირებისაკენ, რადგან მხოლოდ მას შეუძლიან საბოლოოთ აღმოფხვრა ყოველივე საზოგადო ბოროტებისა და მასთან ერთათ ქურდობა-ყაჩაღობ საც.

აქ იარაღის აყრა მოქალაქეთათვის ჯერჯერობით მშვიდობიანათ ხდება. რამდენიმე სოფელმა თავის სურვილით მოიტანა იარაღი რაიონულ გვარდიის შტაბში. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ხალხი თანაგრძნობით ეკიდება იარაღის აყრის საქმეს და მოითხოვენ, რომ აუცილებლივ საჭიროა იარაღი ჰქონდეს მხოლოდ განსაზღვრულ ხალხის რიგულ და სანდო პირებს. გვარდია იმ სახით, როგორც არსებობდა, თითქმის დაშლილათ უნდა ჩაითვალოს მცირე კამონაკლისს გარდა, რომელიც ახლაც თავის ადგილზე დგას. რაიონის შტაბი სამაზრო შტაბის წარმომადგენელთან ერთად [illegible] შეუდგა გვარდიის შექმნას თანახმად [illegible] კანონ-პროექტ, რომელიც გამოსცა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ. კანონ-პროექტი საზოგადოთ არავითარ კრიტიკას არ იწვევს, მხოლოდ საჭიროა განსაზღვრული იყვეს კანონში რამდენობა იმ ჯილდოსი, რომელიც ეძლევა სახალხო გვარდიელთ სამსახურში გაწვევის დროს.

შიმშილობის ნიადაგზე აქ გავრცელებულია სხვადასხვა ავადმყოფობა და გადამდები სენები; საჭიროა ამ მხრივაც დახმარება.

**გ—ი.**

---

**საჩხერის რაიონი** (შორაპნის მაზრა). საშინელი შიმშილობაა საჩხერის რაიონში. დღემდის აქა იქ იშოვებოდა ცოტაოდენი სიმინდი და პური, რასაც დამშეულები ხელმისაწვდომ ფასებში ყიდულობდენ, მაგრამ დღეს ისე აიწია სიმინდის ფასმა, რომ შეუძლებელია გაჭირებულმა ადამიანმა იმით ისარგებლოს, თუმცა სასურსათო კომიტეტმა, [illegible] სიმინდი, ჩამოართვა და მტკიცე ფასებში დაუნაწილა დამშეულებს. მაგრამ, ბევრმა გადამალა [illegible] სიმინდი და დღეს კოდს (ორი ფუთ ნახევარი) ას მანეთათ [illegible] ბევრს შეხვდებით ისეთ დამშეულს, რომელსაც ასი მანეთის კი არა, 30—40 მანეთის მოხერხება არა აქვს. მდგომარეობა კვლავ უფრო გართულდება, თუ დროზე ჩვენმა კოოპერატივებმა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქციეს. საჭიროა მათ შეიძინონ სამეგრელოში სიმინდი და ამ მხრით დახმარება აღმოუჩინონ საბრალო ხალხს. საჭიროა თვით საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი დახმარებას გაუწევდეს კოოპერატივებს სიმინდის შეძენაში.

**შ. ხ.**

## ცნობები

ჯარისკაცი კონსტანტინე კიმოთის ძე მელქაძე მსახურებდა პირველ ქართულ პოლკში, მეხუთე როტაში. ვინც იცის რაიმე მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სამტრედია. მუშ. და გლეხთა დეპუტატების საბჭო, ბაგრატ მესხიშვილს.


## იყიდება

**სახლი და საოჯახო ნივთები.**

ადრეს: სადგურის იქითა მხარე, მაგისტრალის ქ. № 16. (1—1)

---

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

---

**ექიმი ვ. კლდიაშვილი.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

---

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილისა**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით.** დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

---

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

---

**სამკურნალო კაბინეთი**

**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**

მიიღება [illegible] კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

---

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო** და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

---

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი მისამართი: მოსკოვის ქ. № 11

---

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

---

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის

# ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.


მშრომელ-მებეჭდავე სტამბა რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 1.